საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რაგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტითის გაფანა ყვეცა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

სამშაბათი, 18 დეკემბერი. 2018 წ. №256 (8657) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

ქვეყნის გაერთიანება, საზოგადოების დამშვიდება, გაძლიერება, ევროპაში ჩვენი ადგილის დამკვიდრება არის უმთავრესი მიზანი

პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის სიტყვა თელავში ფიცის დადების შემდეგ

მოგესალმებით, ბატონო პრემიერ-მინისტრო, ბატონო პარლამენტის თავმჯდომარე!
მოგესალმებით, უწმინდესო და უნეტარესო, ჩვენი ერის სულიერო წინამძღოლო!
მივესალმები პატივცემულ სტუმრებს!
მივესალმები მთელ საქართველოს, ჩვენს აფხაზ და ოს ძმებს!

მოგესალმებით, საზღვარგარეთ მცხოვრებო თანამემამულეებო, მეტადრე თქვენ, ვინც საგანგებოდ ამ დღისთვის ჩამობრძანდით და ახლა ჩვენთან ერთად ხართ. განსაკუთრებული ემოციით მოგესალმებით თქვენ, პირველი ემიგრაციის შთამომავლებო!

ძალიან ნიშანდობლივია, რომ სწორედ ახლა, როდესაც ჩვენ დამოუკიდებლობის აღდგენის ასი წლისთავს ვზეიმობთ, მე, ემიგრაციაში დაბადებული, გავხდი საქართველოს პრეზიდენტი.

ამით შეიკრა ერთგვარი წრე: რუსეთის მეთერთმეტე არმიის შემოსევისა და საბჭოთა ოკუპაციის შედეგად წასული ემიგრაციის შთამომავალი, დღეს, კონსტიტუციით მინიჭებული უფლებამოსილებით, დამოუკიდებლობის დამცველად და უმაღლეს მთავარსარდლად ვბრუნდები.

იხ. 2-3 გვ.

დანაშაულებრივი გულგრილობა თუ მიზანმიმართული საბოტაჟი?



რამდენიმე დღის წინათ, პირად საქმეზე ბათუმში მომიწია ჩასვლა. მეგობრებს ვესტუმრე, წვიმიანი საღამო იყო, მაგრამ გასეირნება მაინც მოვინდომე... ქალაქის ცენტრიდან ოდნავ მოშორებით ცხოვრობენ ჩემი ახლობლები და იქვე ვისეირნეთ...

ერთ პატარა ქუჩაზე, რომელიც ლადო ასათიანის სახელობისაა, ძალიან ლამაზი, ორი, ერთმანეთის მოპირდაპირედ მდებარე შენობა დავინახე, ადრე ეს შენობები არ მინახავს. ამიტომ ვიკითხე, თუ რა იყო ამ შენობებში. მითხრეს, რომ სპორტის სასახლეებია და იქვე სიამაყით დაამატეს, რომ ამ სასახლემ ჭადრაკის მსოფლიო ოლიმპიადას უმასპინძლა. ძალიან გამიხარდა, თუმცა ჩემმა მასპინძლებმა მითხრეს, რომ ამჟამად შენობა არ ფუნქციონირებს და ეს უნიკალური სპორტის სასახლე უქმად დგას. მიზეზი, თუ რატომ არ ფუნქციონირებს ეს ორი უნიკალური შენობა, ბათუმელებმა არ იციან.

იხ. 4 გვ.

საქართველოს პრეზიდენტს, ქალბატონ **სალომე ზურაბიშვილს!**

თქვენო მაღალკეთილშობილებავ!

აღფრთოვანებული ვარ, მთელ გონიერ და წესიერ საქართველოსთან ერთად, თქვენი გამოსვლით თელავში, თქვენი ინაუგურაციის დროს! ეს იყო ამ ისტორიული დღის გვირგვინი – სახელმწიფოებრიობის, ქვეყნის ერთგულების, მოვლენათა გონიერი ჭვრეტის, სიმტკიცის, ღირსების, წარსულისა და მომავლის გამთლიანების მაგალითი, ზომიერების, ზრდილობისა და ოჯახიშვილობის განსხივება, რომელმაც, მე, ერთი რიგითი ქართველი, წელში გამმართა და იმედითა და სიამაყით ამავსო.

უფალს ვთხოვ, როცა ექვსი წლის შემდეგ ხალხის წინ წარსდგებით, რასაც შეიძლება მე ვერც მოვესწრო, ყოფილიყავით ვალმოხდილი და მართალი!

ვამაყობ თქვენით და გულწრფელი ვარ ამ განცდაში.

ღმერთი იყოს საქართველოსა და თქვენი მფარველი!

ღრმა პატივისცემით
რეზო ამაშუკელი.
2018 წ. 16 დეკემბერი

მე ბოლნისის ლომებს ვთლიდი...

მიწა მაქვს და
მიწა მქონდა –
დარი მამალ ხოხბის ფრთისა,
მოყვრის მსასოებელი და
დამზაფვრელი მოშურნისა!
მაღლივ ღმერთი არ მაკლებდა
შუბლზე მირონცხებულ ნიშანს,
რკინას ვჭედდი, ვაშენებდი,
საყდარსა და სანთლის ნიშას.

მე ბოლნისის ლომებს ვთლიდი
სულს ჩემივე ჩუქურთმისას,
ვაზის ჯვარზე
სხივს ვახვევდი
კაბადუკიელის თმისას,
საწნახელში
ბიჭი იდგა
ვადას ჩაფრენილი ხმლისას
აკვნიდან რომ არ ენახა
მშვიდად დაღამება დღისა.

იქით ვეშაპს ხმალს ვუქნევდი,
აქეთ დიდოს,
ლეკს და ხიზანს,
წიგნიც დაწვეს,
ვაზიც ჩეხეს,
მაინც ვერ ეწიენ მიზანს.

ზოგჯერ ჩემგან ჯვარწერილი
მეზობელიც ამემრიზა,
– შინაურმა თუ არ დამკლა
მე მომხვდური ვერას მიზამს!

მე ჩემი მაქვს მოსავლელი
თვალი არ გამირბის სხვისას,
წვეთ-წვეთად და
მისხალ-მისხალ
მიწა მეფე თამარისა!

ვინც შეირგებს ჩემს ზედაშეს, –
ჩოხას მივუბოძებ ძმისას,
ვინც არა და
ნუ მიიჩნევს
თავს ამ ცა-ფირუზის ღირსად!

აღარც ხონთქრის მეშინია
არც შაჰის და ყაენისა,
ხატზე ბევრჯერ გადავეცი
ვინც მამული გაასხვისა!
ჩემად ვიჩნევ მოძმის ტკივილს
იმის სიხარულს და ჭირსა
და მწამს ჩემი ბედისწერის
აწმყოსი და მომავლისა!

აღორძინებულო მზვარევ,
მხარევ, გაბადრული მზისა
ილოცვიდე დედაენას
ჩინს საკუთარ თვალებისას,
ზეპირობდე
რვალზე წერილს
სამუდამო პარაკლისად: –
– „მე ვარ ავი მუსაიფი
კახთ ბატონის ირაკლისა!“

რეზო ამაშუკელი.

პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის სიტყვა თელავში ფიცის დადების შემდეგ

ქვეყნის გაერთიანება, საზოგადოების დამშვიდება, გაძლიერება, ევროპაში ჩვენი ადგილის დამკვიდრება არის უმთავრესი მიზანი

დღეიდან, კონსტიტუციით მინიჭებული უფლებამოსილებით ვიღებ პასუხისმგებლობას, ვიყო ყველას პრეზიდენტი, ყველა საქართველოს მოქალაქის პრეზიდენტი. ეს დემოკრატიის მთავარი პრინციპია. ამ პასუხისმგებლობასა და ცნობიერებაზე დგას თანამედროვე სახელმწიფო.

მე დავიცავ მოქალაქის უფლებებსა და თავისუფლებებს, ვიქნები კანონის უზენაესობის გარანტი; ვიზრუნებ იმისათვის, რომ გავაძლიეროთ სამოქალაქო საზოგადოება და ავამაღლოთ პოლიტიკური კულტურა.

დღეს, როგორც მრავალჯერ თავისი ისტორიის განმავლობაში, საქართველო ისევ გზაჯვარედინზეა — კიდევ ერთხელ ვდგავართ დიდი გამოწვევების წინაშე. აქ, თელავში, კარგად ჩანს ჩვენი განვლილი გზა — ბრძოლებით, გამოწვევებითა თუ წარმატებებით. ეს ადგილი ქართველი ერისთვის, ერთგვარად, ისტორიული მეხსიერების ბარათია:

მეფე ერეკლე იბრძოდა ქვეყნის განვითარებისა და ერთიანობისთვის. მან შექმნა თანამედროვე ქართული ჯარი და გაიმარჯვა არაერთ ბრძოლაში. იგი საფუძველს უყრიდა ევროპული ყაიდის სახელმწიფოს.

აქ, თელავში, დაიმსხვრა მეფე ერეკლეს გეგმები, რომლებიც უკავშირდებოდა თანამედროვე სახელმწიფოს შექმნას, ახალი სტანდარტების დამკვიდრებას, ქვეყნის ევროპულ გზაზე დაყენებას.

აქ შეჩერდა ჩვენი ქვეყნის განვითარება — საქართველოს ჩაუკეტეს გზა დამოუკიდებელი, ერთიანი, ძლიერი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისკენ. ეს ბევრმა მიზეზმა განაპირობა, მათ შორის, მტრის განზრახვამ.

თუმცა **დამოუკიდებლობის აღდგენით დავუბრუნდით ევროპული სახელმწიფოს მშენებლობას, დღეს ჩვენს წინ ისევ გადამწყვეტი ეტაპია.**

თელავიდან კარგად ჩანს გასავლელი გზა. ქვეყნის გაერთიანება, საზოგადოების დამშვიდება, გაძლიერება და ევროპაში ჩვენი ადგილის დამკვიდრება — ეს არის ჩემი უმთავრესი მიზანი.

ჩვენ წლები დავკარგეთ პოლიტიკურ დაპირისპირებაში. მე, პირველ რიგში, თავად მივცემ მაგალითს ჩემს თანამოქალაქეებს და დავარწმუნებ მათ, რომ საქართველოს განვითარებისა და გამთლიანებისთვის ეროვნული თანხმობა არის არსებითად მნიშვნელოვანი.

მე გადავწყვიტე, დღეს აქ ჩამოვსულიყავი, აქ დამედო ფიცი და აქედან მიმემართა ფართო საზოგადოებისთვის, სწორედ იმ ადგილიდან, სადაც დამაკლდა მხარდაჭერა.

მადლიერი ვარ მათი, ვინც ხმა მომცა არჩევნებში. მადლიერი ვარ „ქართული ოცნების“, რომელმაც, როგორც პრეზიდენტობის დამოუკიდებელ კანდიდატს, მხარი დამიჭირა და ამით დემოკრატიული ნაბიჯი გადადგა.

პატივს ვცემ იმათ, ვინც ხმა არ მომცა. ისიც ვიცი, რომ სხვადასხვა პარტიას აქვს განსხვავებული პოზიცია, თუნდაც, ჩემი პრეზიდენტად აღიარებასთან დაკავშირებით.

თუმცა, **დღეიდან, კონსტიტუციით მინიჭებული უფლებამოსილებით ვიღებ პასუხისმგებლობას, ვიყო ყველას პრეზიდენტი, ყველა საქართველოს მოქალაქის პრეზიდენტი. ეს დემოკრატიის მთავარი პრინციპია. ამ პასუხისმგებლობასა და ცნობიერებაზე დგას თანამედროვე სახელმწიფო.**

მე დავიცავ მოქალაქის უფლებებსა და თავისუფლებებს, ვიქნები კანონის უზენაესობის გარანტი; ვიზრუნებ იმისათვის, რომ გავაძლიეროთ სამოქალაქო საზოგადოება და ავამაღლოთ პოლიტიკური კულტურა.

საზოგადოებრივი თანხმობის მიღწევაში მნიშვნელოვანი პოზიტიური როლის შესრულება შეუძლია თითოეულ მოქალაქეს, თავისუფალ მედიასა და არასამთავრობო სექტორს.

დღეს, როდესაც გავხდი საქართველოს მეხუთე პრეზიდენტი, ვამაყობ იმით, რომ ჩვენ შევძელით პრეზიდენტის თანამდებობის გადაბარება მშვიდობიანი და ცივილიზებული ფორმით. ამით კიდევ ერთი დემოკრატიული ნაბიჯი გადაიდგა.

უნდა აღინიშნოს, რომ დამოუკიდებელი და დემოკრატიული საქართველოს აღმშენებლობის გზაზე ყველა პრეზიდენტმა თავისი აგური დადო:

ერთი საუკუნის წინათ პირველი რესპუბლიკის მეთაურებმა იმ დროისთვის თანამედროვე და პროგრესული კონსტიტუცია მიიღეს;

უდიდესი როლი ითამაშა ზვიად გამსახურდიამ, როცა დანიშნა რეფერენდუმი და მიიღო საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი;

ედუარდ შევარდნაძემ პირველმა გაჭრა გზა ევროპული და ევროატლანტიკური სივრცისკენ;

მიხეილ სააკაშვილმა თავისი მმართველობის

საწყის ეტაპზე საფუძველი ჩაუყარა არაერთ მნიშვნელოვან რეფორმას;

გიორგი მარგველაშვილის პრეზიდენტობის პერიოდში გადაიდგა ნაბიჯები დემოკრატიული პროცესის გაძლიერებისკენ, გამყარდა სტაბილურობა.

ჩემი მიზანია, ყველაფერი გავაკეთო იმისათვის, რომ ჩვენი სახელმწიფოს განვითარება, მისი ევროპული მომავალი გახდეს შეუქცევადი და ვერაფერმა ვერ შეაფერხოს ჩვენი მთავარი მიზნის მიღწევა.

სახელმწიფოს განვითარების გზა გადის გაძლიერებულ და გაცოცხლებულ რეგიონებზე. ვფიქრობ, ნიშანდობლივია, რომ დღეს პრეზიდენტის ინაუგურაცია ტარდება არა ქვეყნის დედაქალაქში, არამედ ერთ-ერთ რეგიონში, კახეთში, და ეს ჩემი არჩევანია.

თანამედროვე, ევროპული ტიპის სახელმწიფო გულისხმობს რეგიონებისა და დედაქალაქის თანაბარ განვითარებას. საქართველოს საყრდენი ისტორიულად ყოველთვის იყო მისი მხარეები და მათი სიძლიერე. ჩვენ შეგვიძლია, ეს ისტორიული გამოცდილება და თანამედროვე ევროპული მაგალითი შევაჯეროთ.

საქართველოს რეგიონებში არის ძალიან დიდი პოტენციალი, ამიტომ ჩვენ მათ უნდა მივცეთ მაქსიმალური შესაძლებლობები წინსვლისთვის და გავუხსნათ ახალი პერსპექტივები.

ჩემი, და დარწმუნებული ვარ, თითოეული ქართველის ოცნებაა, რაც შეიძლება მეტი ადამიანი, რაც შეიძლება მეტი ემიგრანტი დაუბრუნდეს თავის სოფელს, მიტოვებულ სახლ-კარს.

ეს არის საქმე, რომელსაც სჭირდება ძალიან დიდი ძალისხმევა, მუდმივი ურთიერთობა რეგიონებში მცხოვრებ ხალხთან. ისევე, როგორც დღეს ვარ აქ, თელაველებთან, მე ჩავალ ყველა რეგიონში, ვიქნები ჩემს ხალხთან!

ქართველი საზოგადოება ერთიანია ევროპული მომავლის საკითხის გარშემო. ჩემი არჩევითაც ქართველმა ხალხმა კიდევ ერთხელ ხმა მისცა ევროპულ გზას.

ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებამ, უვიზო მიმოსვლამ ძალიან დიდი პერსპექტივები გაგვიხსნა.

დასავლელი მეგობრებისგან, პარტნიორებისგან მტკიცე მხარდაჭერა გვაქვს.

ეს პროცესი კიდევ უფრო უნდა დაჩქარდეს. ახალ კონსტიტუციაში ასახულია ქართველი ხალხის ნება — საქართველოს შეუფერხებელი სვლა ევროკავშირისა და ნატოსკენ. მე ჩვენი სტრატეგიული პარტნიორის — ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროპელი მეგობრების დახმარებით ხელს შევუწყობ ამ პროცესს. ამისათვის გამოვიყენებ მთელ ჩემს გამოცდილებასა და კონტაქტებს საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ევროკავშირში.

ჩვენ თანამიმდევრულად გავაგრძელებთ მიზნისკენ სვლას, ღირსეულად გავუმკლავდებით შიდა თუ გარე გამოწვევებს, ბოლომდე მივიყვანთ ქვეყნისთვის მნიშვნელოვან რეფორმებს, კიდევ უფრო გავაძლიერებთ დემოკრატიულ ინსტიტუტებს. დემოკრატიული ცნობიერების ამაღლება ჩვენი ამოცანაა.

ჩვენ ევროპაში უთუოდ შევალთ, და უნდა შევიდეთ ჩვენი ღირებულებებით, იდენტობით, კულტურით.

ქართველებს შეგვიძლია, მსოფლიოს გამოვადგეთ უძველესი, მდიდარი, თვითმყოფადი კულტურით, რომელიც ქრისტიანობაზე დგას. ქართულ ცივილიზაციას თამამად შეუძლია, დაიმკვიდროს თავისი ადგილი მსოფლიოში.

ჩვენი იდენტობა, ისტორიულად, ტოლერანტობაში ვლინდება. სხვადასხვა წარმოშობის, მრწამსის ადამიანებთან მშვიდობიანი თანაცხოვრების ტრადიცია საუკუნეების განმავლობაში მოგვყვება. საქართველო თუნდაც იმით არის ცნობილი, რომ აქ არ არსებობს ანტისემიტიზმის არც ერთი მაგალითი. ტოლერანტობა არის ის, რაც დღეს, გარკვეულწილად, დააკლდა მსოფლიოს. ჩვენ ეს ტრადიცია ისე უნდა გავაძლიეროთ, რომ გავხდეთ მაგალითის მიმცემი. უნდა გავზარდოთ ქართული კულტურისა და იდენტობის ცნობადობა საერთაშორისო არენაზე.

კულტურა არის ის, რაზეც დგას სახელმწიფო! ამ მხრივ ძალიან ძლიერი საძირკველი გვაქვს. მას სჭირდება დაცვა, ყოველდღიური ზრუნვა და განვითარება. კულტურას მე ჩემს ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტად ვაცხადებ.

კულტურა განათლების გარეშე არ მოიაზრება და მინდა, აქ ყველა პედაგოგს, მასწავლებელს ჩემი პატივისცემა გამოვუცხადო, რამეთუ ისინი ზრდიან ჩვენს შვილებს, ანუ ქმნიან ჩვენს მომავალს.

მე ვარ პირველი ქალი პრეზიდენტი საქართველოს ისტორიაში.

ჩემი პრეზიდენტად არჩევით ჩვენ ვაგრძელებთ ტრადიციას: უფრო შორს რომ არ წავიდეთ, 100 წლის წინათ, დემოკრატიული საქართველოს არჩევნებში ქალები თანასწორი უფლებებით სარგებლობდნენ — არჩეულ იქნა 5 ქალი პარლამენტარი. ეს ევროპაში მაშინ იშვიათობა იყო!

დღესაც ვდგამთ პროგრესულ ნაბიჯს. ეს არის ნაბიჯი, რომელიც ჯერ კიდევ გამონაკლისია მსოფლიოში, სადაც მხოლოდ 11 ქალია პრეზიდენტი. ამით ვამტკიცებთ, რომ საქართველოში ქალების როლი ძლიერდება და თანასწორობა ჩვენთვის უცხო სიტყვა არ არის.

საქართველო დიდი გამოწვევების წინაშე დგას. აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი ოკუპირებულია რუსეთის მიერ. არსებობს საოკუპაციო ხაზი, რომელიც შემოდის ქვეყნის ტერიტორიის სიღრმეში და საიდანაც ჩვენს მოქალაქეებს იტაცებენ. ეს სუვერენული სახელმწიფოსთვის მიუღებელია. ჩვენ ამას არ შევეგუებით!

ჩვენს მოსახლეობას სჭირდება მეტი ყურადღება და გაზრდილი უსაფრთხოება. ამ მიმართულებით უფრო მჭიდროდ უნდა ვითანამშრომლოთ პარტნიორებთან და ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიასთან.

უსაფრთხოების უფრო მაღალი დონის მისაღწევად გვჭირდება მეტი თანამშრომლობა ნატოსთან. შავი ზღვის უსაფრთხოების გაძლიერება ასევე ჩვენი ერთ-ერთი მთავარი მიზანია. ამ კუთხითაც მეტი, ძლიერი

მხარდაჭერა გვჭირდება.

მე აქტიურად ვიქნები ჩართული ამერიკელ და ევროპელ პარტნიორებთან მოლაპარაკებებში, რათა რაც შეიძლება მალე მივაღწიოთ დასახულ მიზანს.

საქართველოს თავდაცვისუნარიანობა დამოკიდებულია ჩვენი სამხედრო ძალების პროფესიონალიზმზე, მზადყოფნაზე, თანამედროვე აღჭურვილობაზე, მტკიცე სახელმწიფოებრივ ცნობიერებაზე.

მე ვუცხადებ სრულ ნდობას საქართველოს შეიარაღებულ ძალებს. გამოვხატავ პატივისცემას ჩვენი ჯარისკაცებისა და ვეტერანების მიმართ. მინდა, იყოთ დარწმუნებული, რომ მთლიანად ვიქნები ჩართული შეიარაღებული ძალების თავდაცვისუნარიანობის ამაღლებაში. ჯარის გაძლიერება და ქვეყნის დაცვის უზრუნველყოფა არის ჩემი მიზანი.

როგორც მთავარსარდალმა, აუცილებლად უნდა განვაცხადო, რომ ჯარის იდეოლოგიური და პოლიტიკური ნიშნით დაყოფის მცდელობები, რასაც ადგილი ჰქონდა ბოლო პერიოდში, არის სრულიად მიუღებელი. ეს აზარალებს სახელმწიფოს და აძლიერებს მტერს.

მე ჩავალ ავღანეთში ჩვენი ქვეყნის ჯარისკაცებთან, რომლებიც ღირსეულად და ზოგჯერ სიცოცხლის ფასად იბრძვიან ჩვენი პარტნიორების გვერდით. ისინი ებრძვიან გლობალურ საფრთხეებს, რომელიც ემუქრება მშვიდობას მსოფლიოში, რეგიონში და ჩვენს ქვეყანაში.

მშვიდობა და სტაბილურობა არის უმთავრესი პირობა კაცობრიობის წინსვლისთვის. მშვიდობიანი და სტაბილური კავკასია სჭირდება არა მხოლოდ რეგიონს, არამედ მთელ მსოფლიოს. საქართველომ უნდა გააძლიეროს თავისი პოზიცია კავკასიაში. ჩვენ შეგვიძლია ამ რეგიონში ჩვენი ისტორიული როლის დაბრუნება და ამ პასუხისმგებლობის აღება!

რუსეთმა, როგორც კავკასიის მეზობელმა, უნდა გააცნობიეროს, რომ, თუ მას საერთაშორისო თანამეგობრობის სრულფასოვან ნევრად ყოფნა სურს და ამ რეგიონში ნორმალური ურთიერთობების აღდგენას აპირებს, უნდა დაამტკიცოს, რომ სიტყვიერადაც და ფაქტობრივადაც აღიარებს საერთაშორისო სამართლის ყველა ნორმას. ეს აუცილებელია მის მეზობლებთან თანასწორი და მშვიდობიანი კავშირების დასამყარებლად.

საქართველო მდებარეობს რეგიონში, რომელიც მსოფლიოსთვის საინტერესო ეკონომიკური პროექტების განხორციელების შანსებს იძლევა. ჩვენ უნდა გავხდეთ ამ რეგიონში ეკონომიკური უსაფრთხოებისა და სტაბილურობის კერა და ამით გავზარდოთ ქვეყნის მიმზიდველობა.

ამისათვის გვჭირდება რაც შეიძლება მეტი ინიციატივა და ინოვაცია. **ეს არის ახალგაზრდების დანიშნულება და მოვალეობა ქვეყნის წინაშე და წარმოადგენს რეალურ პერსპექტივას მომავალი თაობისთვის. მთელი ჩემი ძალებით მზად ვარ, გვერდით დავუდგე მათ, ერთად მოვიზიდოთ ინვესტიციები და ხელი შევუწყოთ ახალი იდეების განხორციელებას.**

ჩვენი საზოგადოების გაძლიერებისთვის უმნიშვნელოვანესია სოლიდარობა — პირველ რიგში, თაობათა შორის სოლიდარობა, რაც ისტორიულად გვახასიათებდა. ეს არ უნდა დაიკარგოს.

ასევე, სოციალურ სოლიდარობაზე დგას ძლიერი სახელმწიფო. იქ, სადაც არის თანაგრძნობა, ერთმანეთის გატანა, მხარდაჭერა, არის სტაბილურობა და იხსნება ყველა გზა წინსვლისკენ.

სოლიდარობა ნიშნავს იმას, რომ გვახსოვს და გვერდით ვუდგავართ ყველას, ვისაც თანადგომა სჭირდება: სოციალურად დაუცველებს, მარტოხელა დედებს, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებს.

მე ვიქნები ჩვენი დევნილების გვერდით. მე კარგად ვიცი, რაზე დგას მათი ოჯახები — ძალიან დიდ მოთმინებაზე, სიმტკიცეზე და იმედზე! და ეს იმედი გვაერთიანებს!

მჯერა, რომ საქართველო გამთლიანდება. უნდა გვახსოვდეს, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ცხოვრობენ ადამიანები, რომლებიც ჩვენი მოქალაქეები არიან, და ისინი უნდა შემოვირიგოთ. ჩვენ აფხაზებთან და ოსებთან გავლილი გზა გვაერთიანებს, ერთმანეთის ნათესავები ვართ, შერეული ოჯახები გვყავს! უნდა მოვნახოთ ახალ თაობასთან მისასვლელი გზები და მათ გავუკვალოთ გზა ევროპისკენ. დღეს, როგორც არასდროს, აფხაზურ ენასა და იდენტობას დაცვა სჭირდება!

ჩვენს ქვეყანას სჭირდება დამშვიდება და განვითარება. ჩვენ გვაქვს ძლიერი ადამიანური რესურსი, გვაქვს ეკონომიკური პოტენციალი, მოდის შესანიშნავი, ნიჭიერი თაობა. მთავარია, დავრწმუნდეთ საკუთარ თავში, საკუთარ შესაძლებლობებში და ავიღოთ პასუხისმგებლობა ჩვენს მომავალზე. მე ჩამოვედი, მე დავბრუნდი იმიტომ, რომ ჩემი ქვეყნის მჯეროდა და მჯერა! ჩვენ უნდა გვჯეროდეს საქართველოს მომავლის! დამოუკიდებელი, ძლიერი, თავისუფალი, თანამედროვე, ევროპული, ღირსეული ქვეყანა — ეს არის საქართველოს მომავალი!

ღმერთი ფარავდეს საქართველოს!

დანაშაულებრივი გულგრილობა თუ მიზანმიმართული საბოტაჟი?

(პირველი გვერდიდან)

სპორტული დარბაზები, მით უმეტეს, სპორტის სასახლეები, საქართველოში დღემდე თითზე ჩამოსათვლელია, ამიტომაც ძალიან უცნაურად მეჩვენა, რატომ იდგა უფუნქციოდ, ნებისმიერი ქალაქისთვის ასეთი აუცილებელი სპორტული დანიშნულების დარბაზი, უფრო სწორად კი, მულტიფუნქციური სპორტის სასახლე. და ეს იმ დროს, როდესაც ასე მწვავედ დგას ჩვენი მომავალი თაობის – ბავშვებისა და მოზარდების, ახალგაზრდების ფიზიკური და სულიერი სიჯანსაღის საკითხი, და თუ გნებავთ, საქართველოს სპორტის მომავლის საკითხი.

რა თქმა უნდა, მე, როგორც ჟურნალისტი, დავინტერესდი შენობის ბედით და შევეცადე, გამერკვია, თუ რატომ არ არის შესული ექსპლუატაციაში ეს შენობები?

შენობის მეპატრონეების ძებნა დავიწყე, რაზეც დიდი დრო არ დამიკარგავს, შენობის დარაჯმა მაშინვე დამაკავშირა სპორტის სასახლეების აღმშენებელი კომპანიის „ბეჰლენ ინდასთრის“ წარმომადგენელთან. იგი მაშინვე მოვიდა ჩემთან სალაპარაკოდ, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, სათქმელი ბევრი არაფერი ჰქონდა. მან განაცხადა, რომ არანაირ ინფორმაციას არ ფლობს იმის შესახებ, თუ რატომ არ არის ექსპლუატაციაში შესული მათ მიერ აშენებული სპორტის სასახლეები. მან მომითხრო, რომ „ბეჰლენმა“ **სახელმწიფოს, კერძოდ, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ტენდერში მიიღო მონაწილეობა და გაიმარჯვა. „ბეჰლენმა“ სამუშაოები, ანუ მშენებლობა დათქმულ ვადაში დაასრულა...**

მალე აღმოვაჩინე, რომ ასეთივე სპორტის სასახლეები არა მხოლოდ ბათუმში, არამედ გორსა და თელავშიც აშენებულა. ოღონდ, არც ერთ ხსენებულ ქალაქში ობიექტი არ გახსნილა და არც ერთი დღე არ უმუშავია...

ჩემი რესპონდენტი, კანადური ფირმის წამომადგენელი სიტყვაძუნწი აღმოჩნდა, მან უბრალოდ განაცხადა, რომ მათი კომპანიის ინტერესი კომერციულთან ერთად ისიც გახლავთ, რომ სპორტული კომპლექსი, არა მხოლოდ პროფესიონალი სპორტსმენების საასპარეზო არენა, საქართველოს ახალგაზრდობის ჯანსაღი წესით ცხოვრების ადგილიც ყოფილიყო.

აჭარის ადგილობრივი ხელისუფლებიდან ინფორმაციის მიღება იმის შესახებ, თუ რატომ არ არის ექსპლუატაციაში ორი სპორტის სასახლე, რომელშიც წარმატებით ჩატარდა საჭადრაკო ოლიმპიადა, ვერ შევძელით. სამაგიეროდ, მკითხველს შევახსენებთ, რას წერდა იმხანად პრესა:

„სპორტის სასახლე და მის მიმდებარედ მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოები აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ ზურაბ პატარაძემ და საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ შალვა გოგოლაძემ, აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა რამაზ ბოლქვაძემ, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა ინგა შამილიშვილმა ჭადრაკის ფედერაციისა და ფიდეს ხელმძღვანელ პირებთან ერთად დაათვალიერეს.

სამუშაო პროცესს ასევე ლატვიის ფინანსთა მინისტრი დანა რეზნიცე-ოზოლა და ევროპის საჭადრაკო კავშირის პრეზიდენტი ზურაბ აზმაიფარაშვილი გაეცნენ.

ამ ეტაპზე უკვე დასრულებულია სპორტის სასახლის მშენებლობა, რომელიც ორ დიდ დარბაზს მოიცავს (2500-კაციანი და 500-კაციანი).

პარალელურად, ინტენსიურად მიმდინარეობს ახალი ყინულის არენის მშენებლობა, რომელიც ჭადრაკის მსოფლიო ოლიმპიადის მსვლელობისას დამატებით სივრცედ იქნება გამოყენებული.

დახურულ სპორტულ კომპლექსში – ყინულის არენაზე ტრიბუნები 1500 ადგილზე განთავსდება. ყინულის არენისა და საცურაო აუზის კომპლექსის საორიენტაციო სამშენებლო ფართობი 16 000 კვ. მეტრია, საიდანაც ყინულის არენა – 10500 კვ.მეტრზე, ხოლო საცურაო აუზი 5500 კვ.მეტრზე მოეწყობა. ყინულის არენაზე სასწავლო-სავარჯიშო პროცესისა და სხვადასხვა დონის შეჯიბრებების ჩატარება იქნება შესაძლებელი. კერძოდ, ფიგურული სრიალი – ჰოკეი – ასევე, ციგურებზე მასობრივი სრიალი, კულტურულ-სანახაობრივი და გასართობი ღონისძიებები, კონცერტები და გამოფენები.

მოწესრიგდება სპორტის სასახლის ირგვლივ არსებული ინფრასტრუქტურა. დაიგება ირგვლივ არსებული გზები, რომლისთვისაც ბათუმის მერიაში უკვე მომზადებულია სატენდერო დოკუმენტაცია და გზის მოასფალტება უახლოეს პერიოდში დაიწყება.

მსოფლიოს 43-ე საჭადრაკო ოლიმპიადა ბათუმში 23 სექტემბრიდან 6 ოქტომბრის ჩათვლით გაიმართება და მასში 180-ზე მეტი ქვეყნის 4 000-მდე მოჭადრაკე და ოფიციალური პირი მიიღებს მონაწილეობას.“

> მიუხედავად იმისა, რომ ქართულ მხარეს, როგორც მშენებლობის დამკვეთს დღემდე არ აუყვანია საკუთარ ბალანსზე აღნიშნული სპორტის სასახლეები (ბათუმში, თელავსა და გორში), ისე რომ კანადური ფირმისთვის არაფერი უკითხავს, ქართული მხარე თვითნებურად შეიჭრა ბათუმის სპორტის სასახლეში და ზემოთ ხსენებული საჭადრაკო ოლიმპიადა წარმატებით ჩატარდა.

ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, ქართულმა მხარემ „ბეჰლენის“ კერძო საკუთრება ხელჰყო, რაზედაც კანადურ ფირმას შეეძლო სასამართლოში ეჩივლა და მაშინ ის საჭადრაკო ოლიმპიადა, რომლის უმაღლეს დონეზე ორგანიზებით დღემდე ყელყელაობს საქართველო, ვერ ჩატარდებოდა!

„ბეჰლენმა“ ეს არ გააკეთა, რაც იმის ნათელი დასტურია, რომ კანადურ ფირმას საქართველოში მხოლოდ კომერციული მიზნები კი არ ამოძრავებს, არამედ გულწრფელად სურს, რომ საკუთარი წვლილი შეიტანოს საქართველოს აღმშენებლობის საქმეში. აქედან გამომდინარე, მათთვის მართლაც სულერთი არ არის ის, რომ მათი აშენებული სპორტის სასახლეები (ბათუმი, გორი და თელავი) დღემდე არ ფუნქციონირებენ!..



ჩვენ გადავხედეთ სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს იმდროინდელ ინფორმაციას, როდესაც ტენდერით გათვალისწინებული მშენებლობები კანადურმა კომპანია „ბეჰლენმა“ დაასრულა.

აი, რას წერდნენ მაშინ სამთავრობო წყაროები:

„გორში, თელავსა და ბათუმში უპრეცედენტო მასშტაბის სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა დასასრულს უახლოვდება. 6 თებერვალს სარემონტო სამუშაოების ფინალური ეტაპი კულტურისა და სპორტის მინისტრმა მიხეილ გიორგაძემ, ასევე მშენებელი კანადური კომპანია „ბეჰლენ ინდასთრის“ პრეზიდენტმა და მფლობელმა პოლ კანინგემმა დაათვალიერეს.

ღონისძიებას ასევე ესწრებოდნენ ადგილობრივი თვითმმართველობისა და საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლები.

სამივე პროექტის საერთო ღირებულება 34 მილიონ დოლარს აღწევს. თელავსა და გორში დიდი დარბაზი 1 500 მაყურებელს დაიტევს, პატარა – 500, ხოლო ბათუმში დიდი დარბაზი – 2 500, პატარა დარბაზი კი 500 მაყურებელზეა გათვლილი. სპორტის სასახლეების მიმდებარედ დასასვენებელი სკვერების მოწყობაც იგეგმება.

მაღალტექნოლოგიურ, ენერგოეფექტურ, თანამედროვე სპორტულ ობიექტებს კანადური კომპანია „ბეჰლენ ინდასთრი“ აშენებს, რომელიც წარმოადგენს ფართომალიანი ნაგებობების უმსხვილეს მწარმოებელს კანადაში. კომპანია „ბეჰლენი“ აღიარებული ლიდერია ასაწყობი ფოლადის შენობების დამზადების სფეროში, გლობალური მასშტაბით, და მას დიდი გამოცდილება გააჩნია.

„ბეჰლენსა“ და საქართველოს მთავრობას შორის მიღწეული შეთანხმების ფარგლებში, პროექტი დაფინანსდა „ბეჰლენის“ მიერ, რომელმაც პროექტისთვის საჭირო გრძელვადიანი საკრედიტო რესურსი თავად უზრუნველყო.

პროექტი საფუძველს უყრის საქართველოსა და კანადას შორის საქმიანი ურთიერთობების განვითარებას, და მისი წარმატება, საქართველოს ინფრასტრუქტურაში კანადური ინვესტიციების ზრდის სამომავლო გარანტიაა.

„სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, შპს „სპორტმშენსერვისსა“ და კანადურ კომპანიას BEHLENINDUSTRIES LP-ს შორის ხელშეკრულება 2016 წლის 4 ოქტომბერს გაფორმდა“, – წერია კულტურისა და სპორტის სამინისტროს საინფორმაციო გვერდზე. უდავოა, აღნიშნული სამინისტრო მიღწეულით კმაყოფილი იყო, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქართველოს მთავრობას ღიად აქვს გაცხადებული, რომ ჯანსაღი წესით ცხოვრების დანერგვაზე უნდა იზრუნოს და ახალგაზრდებს სპორტით დაკავებისთვის ყველანაირი პირობა უნდა შეუქმნას. ამისთვის სახელმწიფომ მიზანიც დაისახა:

— პოპულარიზაცია გაეწიოს ჯანსაღი ცხოვრების წესს, სწორი კვების რეჟიმის დამკვიდრებას, ჯანსაღი პროდუქტის შერჩევას, პირადი ჰიგიენისა და ფიზიკური ვარჯიშის მნიშვნელობის გააზრებას, მავნე ჩვევების დაძლევასა და ჯანმრთელობის დაცვისათვის საჭირო უნარჩვევების გამომუშავებას; ყურადღება მიექცეს სპორტული ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას და აღმზრდელობით დაწესებულებებში სასწავლო საგნის „სპორტის“ სათანადო სწავლებას;

— მოზარდებმა გაიაზრონ, რომ მოსახლეობის გაჯანსაღებისთვის საჭიროა ცხოვრების ჯანსაღი წესის დაცვა. ეს ღირებულება კი ადამიანმა თავად უნდა ჩამოიყალიბოს. მისი რეალური არსი სულისა და სხეულის ჯანმრთელობის შენარჩუნებაა თვითშეზღუდვისა და საგანგებო ვარჯიშების მეშვეობით.

ეს ყველაფერი კი იმისთვის მოიფიქრა მთავრობამ, რომ გადაწყვიტა, XXI საუკუნე სწრაფი პროგრესის ფონზე მიმდინარეობს, მაგრამ საზოგადოების და, განსაკუთრებით, მოზარდების არასათანადო ინფორმირებულობა და ნაკლებდაინტერესება აყალიბებს მიდრეკილებას მავნე ჩვევების მიმართ (ალკოჰოლი, ნიკოტინი, ნარკოტიკი), ხელს უწყობს არასწორი კვების რეჟიმის დაცვას, არაჯანსაღი პროდუქტების მიღებას და სპორტისადმი ნაკლებ ინტერესს. მოზარდების ნაწილი იოლად ყვება მავნე ჩვევების ზეგავლენის ქვეშ და სუსტი ნებისყოფის გამო ვერ ახერხებს მათზე უარის თქმას.

ქვეყანაში არ ფუნქციონირებს სპორტული სექციები, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს არ აქვთ თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით მოწყობილი სპორტდარბაზები, სტადიონები ხელოვნური საფარით, სპორტული ინვენტარი, გასახდელები, სველი წერტილები, საშხაპეები და ა.შ.

სკოლის მოსწავლეთა და, ზოგადად, მოქალაქეთა უმრავლესობა არ არის დატვირთული სხვადასხვა ფიზიკური აქტივობით, კერძოდ, სპორტის სხვადასხვა სახეობით. სკოლებში მოსწავლეები არ არიან სათანადოდ ინფორმირებულები რომ ცხოვრების ჯანსაღი წესი ორგანიზმის ჯანმრთელობის, დღეგრძელობის, სოციალურ ფუნქციათა სრულფასოვნად განხორციელების საწინდარია...

აქედან გამომდინარე, უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსთან 2015 წელს ახალი ოლიმპიური სპორტის სასახლე ააშენეს და ოფიციალურად გახსნეს კიდეც.

„თანამედროვე სტანდარტების დაცვით აშენებულ სპორტის სასახლეში ორი დარბაზი მოეწყო, სადაც ერთდროულად შესაძლებელია სპორტის სხვადასხვა სახეობების ტურნირების ჩატარება, როგორც სათამაშო, ასევე ინდივიდუალურ სახეობებში — ხელბურთში, კალათბურთში, ფრენბურთში, ძიუდოში, მინიფეხბურთში, ფარიკაობაში და ა.შ. დიდი დარბაზი — 3600 გულშემატკივარს, მცირე კი 600 გულშემატკივარს იტევს.

ახალი სპორტის სასახლის სამშენებლო სამუშაოები 2014 წლის შემოდგომაზე დაიწყო. ობიექტი შპს „სპორტმშენსერვისის“ დაკვეთით კომპანია „ლაინკუბმა“ დააპროექტა, სამუშაოები კი კომპანია „ელექტრომონტაჟსერვისმა“ შეასრულა“.

ამასობაში ჩვენ, მას შემდეგ, რაც შევიტყვეთ, რომ „ბეჰლენის“ მიერ აშენებული ყველა სპორტის სასახლე ბათუმში, გორსა და თელავში უსარგებლოდ იყო მიტოვებული მთავრობის მიერ, დავინტერესდით სპორტკომპლექსებით სარგებლობის ფასებით. გვინდოდა, გაგვერკვია, თუ რა თანხა იყო საჭირო იმისთვის, რომ **შპს „სპორტმშენსერვისის“ დაკვეთით კომპანია „ლაინკუბის“ მიერ დაპროექტებულ „თანამედროვე სტანდარტების დაცვით აშენებულ სპორტის სასახლეში“ ბავშვებს ერთი საათით მაინც ევარჯიშათ, აღმოჩნდა, რომ ერთი საათი ვარჯიშის ფასი 300 დოლარიდან იწყება...**

ასეთი მაღალი ფასი სპორტდარბაზების სიმცირითაც, ანუ კონკურენციის ნაკლებობით არის განპირობებული და აქედან გამომდინარე, ორმაგად სამწუხაროა, „ბეჰლენის“ მიერ აშენებული სპორტის სასახლეების უმოქმედობა...

მოამზადა
ეკა ნასყიდაშვილმა.

P. S. წინამდებარე წერილი ქართველ საზოგადოებაში ალბათ, ერთ ყოვლისმომცველ კითხვას გააჩენს: რატომ ხდება საქართველოში ის, რაზედაც ზემოთ ვისაუბრეთ?ქართული მხარის ქმედება-უმოქმედებანი ყოველგვარი ლოგიკისა და საღი აზრის მიღმა დგას, რადგანაც, როგორც წესი, დამკვეთი აჩქარებს სამუშაოთა მწარმოებელს და არა პირიქით — აშენებულის მიღებას არ ჩქარობს ქართული მხარე. ანუ ხატოვნად თუ ვიტყვით, კანადელები იმას გვეხვეწებიან, რასაც ქართველები უნდა ვეხვეწებოდეთ.

არ ვიცით, რისი და ვისი ბრალია ეს ყოველივე, ლოგიკასა და საღ აზრთან ქართული მხარის მწყრალად ყოფნისა თუ გაცილებით მძიმე შემთხვევასთან გვაქვს საქმე, ბიუროკრატიული მიზანმიმართული საბოტაჟის სახით?

ერთი რამ ცხადია, ყოველივე ზემოთ თქმული, როგორც მინიმუმ, ქვეყანაში ინვესტიციების შემოდინებას ხელს ვერ შეუწყობს. ინვესტიციებისა, რომლებიც აგრერიგად სჭირდება საქართველოს განვითარებად ეკონომიკას!..

ე. ნ.

მის აღმატებულებას, საქართველოს პრეზიდენტს, ქალბატონ სალომე ზურაბიშვილს

თქვენო აღმატებულებავ, ქალბატონო პრეზიდენტო,

გულითადად გილოცავთ ჩემთვის სათაყვანებელი საქართველოს პრეზიდენტად არჩევას. მწამს, რომ თქვენი საყოველთაო აღიარება წინაპირობა გახდება ჩვენი სახელმწიფოს შემდგომი განვითარებისა და გაბრწყინებისა. დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი მოღვაწეობა ამ უმაღლეს სახელმწიფოებრივ თანამდებობაზე ოქროს ასოებით ჩაიწერება ჩვენი ქვეყნის დიდებულ ისტორიაში.

საყოველთაოდ ვაცხადებ! ვარ ამაყი იმით, რომ მაქვს ბედნიერება, ვიყო საქართველოს მოქალაქე, იმ სახელმწიფოსი, რომლის ღირსეული პრეზიდენტი ბრძანდებით.

ღრმა პატივისცემით, **ალი ისაევ-ავარსკი,**
საქართველოს დამსახურებული არტისტი, ღირსების ორდენის კავალერი, თბილისის საპატიო მოქალაქე.

ახალარჩეული პრეზიდენტი ათონელის რეზიდენციაში, სავარაუდოდ, დღეს მედიასთან ერთად მივა

ამის შესახებ პრეზიდენტის წარმომადგენელმა ლაშა ჟვანიამ განაცხადა.

მისი თქმით, ათონელის რეზიდენციის საპრეზიდენტო ფლიგელი სრულად არ არის დასრულებული, თუმცა უკანა მხარეს მდებარე ფლიგელი სრულად დასრულებულია და პრეზიდენტი საქმიანობას დროებით იქ დაიწყებს.

„რამდენიმე საკითხია გადასაწყვეტი. ინტერნეტი გაყვანილია. ავლაბრის რეზიდენციიდან ნელ-ნელა გადმოვიტანთ კომპიუტერულ ტექნიკას. ნაწილობრივ, ავლაბრის რეზიდენციაში შენარჩუნდებიან ის პირები, რომლებიც საჭიროა ადმინისტრაციის მუშაობისთვის. ყველაფერი ნელ-ნელა, წყნარი ნაბიჯებით არის გასაკეთებელი, რომ პრეზიდენტის ადმინისტრაციის მუშაობაში რაიმე პრობლემა არ შეიქმნას“, — განაცხადა ლაშა ჟვანიამ. მისივე თქმით, კვირის ბოლოს ან ყველაზე გვიან, მომავალი კვირის დასაწყისში პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი თავად გამოაცხადებს გუნდის შესახებ.

„პრეზიდენტი არ ჩქარობს გადაწყვეტილების მიღებას, თუმცა აქვე მისი პოზიციაა, რომ ყველას შეთავაზება ექნება, ერთად ექვსი თვე იმუშაონ. თუ გაამართლებს კონკრეტული ადამიანი, ალბათ, ჩემი ჩათვლით, ასეთ შემთხვევაში პრეზიდენტთან მუშაობას გაგრძელებს“, — განაცხადა ლაშა ჟვანიამ.

მაკრონმა სარკოზის სალომე ზურაბიშვილის ინაუგურაციაზე საფრანგეთის წარდგენა სთხოვა

ფრანგული **გამოცემა Le Parisien წერს, რომ საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა საფრანგეთის ყოფილ პრეზიდენტს ნიკოლა სარკოზის სთხოვა, წარმოედგინა საფრანგეთი საქართველოს ახლადარჩეული პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის ინაუგურაციაზე.**

გამოცემის ცნობით, 7 დეკემბერს, მაკრონმა სარკოზი ელისეის სასახლეში სადილზე მიიწვია და საფრანგეთში მიმდინარე საპროტესტო აქციებთან დაკავშირებით რჩევა სთხოვა. აღნიშნულ შეხვედრაზე მაკრონმა ყოფილ პრეზიდენტს სთხოვა, საქართველოსთან მისი მნიშვნელოვანი კავშირის გამო, რაც განსაკუთრებით რუსეთ-საქართველოს ომის დროს შუამავლობაში გამოიხატა, საფრანგეთი წარედგინა ზურაბიშვილის ინაუგურაციაზე.

აღსანიშნავია, რომ მაკრონის ადმინისტრაციამ გამოცემას ეს ინფორმაცია დაუდასტურა.

პარლამენტის თბილისის შენობა მზად არ არის

საქართველოს პარლამენტის ახალი რეგლამენტის ძალაში შესვლის მიუხედავად, პლენარული სხდომები ქუთაისში გრძელდება.

გადაწყვეტილება ამის შესახებ ბიუროს დღევანდელ სხდომაზე მიიღეს. პარლამენტის ვიცე-სპიკერის თამარ ჩუგოშვილის განცხადებით, ამ ეტაპზე პარლამენტის თბილისის შენობა პლენარული სხდომების ჩასატარებლად მზად არ არის.

ბიუროს წევრებმა საკითხს კენჭი უყარეს და გადაწყდა, რომ სხდომა ქუთაისში გაიმართება.

პრემიერი სომხეთის პრეზიდენტს შეხვდა



საქართველოს **პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე სომხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ არმენ სარქისიანს შეხვდა. პირისპირ შეხვედრისას ხაზი გაესვა ორ ქვეყანას შორის არსებულ კეთილმეზობლურ ურთიერთობებსა და სხვადასხვა სფეროში წარმატებულ თანამშრომლობას.**

პრემიერ-მინისტრმა სომხეთის პრეზიდენტს საქართველოს პრეზიდენტის ინაუგურაციაზე სტუმრობისთვის მადლობა გადაუხადა. მხარეებმა ასევე განიხილეს სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების განვითარების კუთხით არსებული პოტენციალი და საკითხები, რომლებზე მსჯელობაც ორი ქვეყნის მთავრობათაშორისი ეკონომიკური კომისიის ფარგლებში იგეგმება. საუბრისას ყურადღება დაეთმო განათლებისა და კულტურის სფეროში თანამშრომლობას.

საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და სომხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის პირისპირ შეხვედრა მთავრობის ადმინისტრაციაში გაიმართა.

გიორგი გახარია გერმანიის ელჩს შეხვდა

ვიცე-პრემიერმა, შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი გახარიამ გაცნობითი შეხვედრა გამართა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩთან საქართველოში ჰუბერტ ქნირშთან. შინაგან საქმეთა მინისტრმა ელჩს საქართველოში დიპლომატიური მისიის დაწყება მიულოცა და მომავალ საქმიანობაში წარმატება უსურვა.

შეხვედრაზე მხარეებმა, საქართველოსა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამართალდამცავ უწყებებს შორის არსებული, მჭიდრო და ეფექტიანი საპოლიციო თანამშრომლობის შესახებ ისაუბრეს. გიორგი გახარიამ ხაზი გაუსვა გერმანიასთან ორმხრივი თანამშრომლობის გაღრმავების პროცესში პოლიციის ატაშეების ინსტიტუტის განსაკუთრებულ როლს.

შინაგან საქმეთა მინისტრმა გერმანიის ელჩს სამინისტროს სისტემური განახლების ფარგლებში მიმდინარე რეფორმები გააცნო. მხარეებმა, ასევე, მიმოიხილეს ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის ამოქმედების შედეგად არსებული გამოწვევები და მის გადასაჭრელად გადადგმული ნაბიჯები.

ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ ᲐᲠᲐᲛᲪ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲛᲪ ᲣᲤᲘᲤᲠᲝᲑᲐ, ᲗᲐᲕᲐᲨᲕᲔᲑᲣᲚᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲝᲑᲐ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ!..

16 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ თელავში გამართულმა საქართველოს მეხუთე პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის კურთხევამ კიდევ ერთხელ გაათვალსაჩინოვა, რომ საქართველო დემოკრატიის შეუქცევად გზას ადგას და სრულიად ახალ კალაპოტში მოქცეულ ქვეყანას მაჯლაჯუნასავით ფეხებში ედება პოლიტიკურად დაბლაგვებული ეგრეთ წოდებული ოპოზიცია, რომელსაც, სამწუხაროდ, თავისი უშუალო დანიშნულება დღემდე ვერ გაუგია თუ განგებ არ უნდა, რომ ესმოდეს და სამარცხვინო თავაშვებულობით, თავაწყვეტილობით და აღვირახსნილობით ცდილობს არსებული ხელისუფლების დამხობას, ამ ანტიმოქალაქეობრივი მიზნის მისაღწევად კი არავითარ უსინდისობას არ ერიდება. თუმც, რა უსინდისობაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა სინდისი, უწინარესად კი პოლიტიკური თუ მოქალაქეობრივი, საერთოდ არ გაქვს, რაც ქენჯნისგან გათავისუფლებს და ყოველგვარ სიბინძურეში გაჭყუმპალავებს.

სწორედ ასეთი ეგრეთ წოდებული ოპოზიცია ვიხილეთ 16 დეკემბერს თელავის მისადგომებთან, რამაც ბევრს კახეთში თურქ-ოსმალთა შემოსევის ავბედითი ჟამი გაახსენა.

ასეთი ოპოზიცია არა ქვეყნის ბედზე მოფიქრალ ადამიანებად, არამედ მრავალთავა ავსულად უნდა წარმოვიდგინოთ, რომელსაც, თავისი ბნელი მიზნის მიღწევის გარდა, სხვა არაფერი აგულისყურებს და ჩვენს მრავალმნიშვნელოვანი საქვეყნო პოლიტიკური მოვლენის გამო თავშეყრილ საზოგადოებას რომ თავი დავანებოთ, სულ არ ანაღვლებს ის 1800 უცხოელი სტუმარი, ამ დიდი პოლიტიკური მოვლენის გამო რომ სწვევია ჩვენს ქვეყანას. თუმცა ამ ავსული ვაიოპოზიციონერი ძალების თვალში ეს იმდენად დაბალი დონის წარმომადგენლობაა, რომ სულაც ანგარიშგასაწევი არ არის, რაც ნაციონალების იდეოლოგიური ხმაგამკივანი გვარამიასეული გულ-ნაღარის წყალობით ეს თავის მხრივ სამარცხვინო შეფასება 1800-სივე სტუმრისთვის უმალ ცნობილი გახდა.

მოდი ახლა და უმტკიცე ამ 1800 სტუმარს, რომ ამ „შეფასების“ ავტორები ბოროტმოქმედი ნაციონალები არიან და არა ქართველი მასპინძლები.

ამ სათელავო კადრების შემდეგ გაერთიანებული ოპოზიციის სახელს ამოფარებული ნაციონალების ეგრეთ წოდებულმა ლიდერებმა ნამდვილად გვარები უნდა შეიცვალონ. მელია, მაგალითად გელია ან მგელია უნდა გახდეს, ვაშაძეები — თხლაშაძეები, უდუმაშვილი — უმჭკუაშვილი, ზოგიერთ დანარჩენსაც თქვენ შეუფარდეთ...

ნახეთ არა, როგორ შუბლით გაიწია მელია-მგელიამ, ნიკანდრომ, ქვეყნის საპატრულო პოლიციის უფროსისკენ, ორმოცპროცენტიანი პრეზიდენტის — გრიგორი თხლაშაძის გვერდზე დგომით გულმოცემულმა?!

ერთი სიტყვით, ხალხის უმრავლესობის აზრით, აურჩეველი პრეზიდენტის გრიგორის ლაშქარმა ძირში მოიჭრა თავი თვითონ ბეყე ლიდერის თავკაცობით. თუმცა ამ აზრს შეიძლება, რომ არც დავეთანხმოთ. რადგანაც თავი მხოლოდ იმან შეიძლება მოიჭრას, ვისაც თავი აქვს.

იმედია, ხელისუფლებამ ახალი პრეზიდენტის არჩევასთან ერთად, კიდევ ერთხელ, ამჯერად „მსუყედ“, ისიც ნათლად დაინახა (რაც ახალი პრეზიდენტის მომავალ დამსახურებათა პირველი მკაფიო ნაბიჯია), თუ ნაციონალების სახით, როგორ ოპოზიციასთან, უფრო სწორად, ხელისუფლებაში ხელმეორედ მოსასვლელად როგორ ძილდაკარგულ, ნამუსგაუძმებულ მტერთან აქვს საქმე!

იმედია, ახლა მაინც გამოფხიზლდება ნაციონალთაგან უუნაროდ და უნიათოდ მონათლული ოცნება და ჩვენ, მოსახლეობა, ჯანდაბას, გაერთიანებულ ოპოზიციად სახელგამოცლილ ნაციონალებს მაინც ნუ აუხდენს სათავისო ოცნებას.

მერე რა, თუ რუსულად ნაწრთობ ბეყე გრიგორი ვაშაძეთხლაშაძეს ლოგინში უჭირს გადატრიალება, სამაგიეროდ, ხომ ხედავთ, ქვეყნის გადატრიალებას ეპირება. ეს მადა მაინც გაუნელეთ, ბატონებო!

უარს ვამბობთ კეთილდღეობაზე, გეხვეწებით და გემუდარებით, დაგვასვენეთ და მოგვასვენეთ ამ განუკურნებელი სააკაშვილიზმისგან. ეს იქნება ყველაზე დიდი ჯილდო და ახდენილი ოცნება.

ოცნებაც დამღლელი ყოფილა! ნეტავ, კიდევ რამდენ ხანს უნდა ვიოცნებოთ?!

ᲒᲣᲠᲐᲛ ᲬᲘᲙᲚᲐᲣᲠᲘ

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲐ, ᲙᲐᲜᲝᲜᲘ ᲐᲠ ᲓᲐᲘᲠᲦᲕᲔᲡ

ᲗᲣ აქცია კანონის ფარგლებში იქნება, არანაირი პრობლემა არ არის, მნიშვნელობა არ აქვს, ვინ აწყობს მას, — ამის შესახებ ჟურნალისტებს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ნათია მეზვრიშვილმა გაერთიანებული ოპოზიციის მიერ დაანონსებულ აქციასთან დაკავშირებით განუცხადა. მისი თქმით, მთელი 2018 წლის განმავლობაში, არაერთი დემონსტრაცია და აქცია იყო და პოლიციამ კარგად აჩვენა, რომ გამოხატვის თავისუფლება დაცულია.

„გუშინ კარგად დაინახა საზოგადოებამ, რომ ჩვენ პატივს ვცემთ გადაადგილების თავისუფლებას. თუ ადამიანები ზღვარს არ გასცდებიან, გადაადგილების თავისუფლების არანაირი პრობლემა არ არის“, — განაცხადა ნათია მეზვრიშვილმა.

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲙᲘᲠᲙᲘᲢᲐᲫᲔᲡ ᲛᲘᲜᲘᲛᲣᲛ ᲝᲠᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲪᲘᲮᲔ ᲔᲚᲝᲓᲔᲑᲐ

ᲒᲐᲛᲝᲫᲘᲔᲑᲘᲡ ფარგლებში შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტმა 16 დეკემბერს ველისციხეში გამართულ აქციაზე პოლიციელზე თავდასხმისთვის ფიზიკური შეურაცხყოფისთვის და ქონების დაზიანებისთვის სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე პრიმა მუხლით, მოსამართლის განჩინებით დააკავა გაერთიანებული ოპოზიციის მხარდამჭერი დავით კირკიტაძე, — ამის შესახებ ბრიფინგზე შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორმა ვლადიმერ ბორცვაძემ განაცხადა. მისი თქმით, გამოძიება გრძელდება, ტარდება ყველა საჭირო მოქმედება, მიმდინარეობს ვიდეომასალის შესწავლა და არ არის გამორიცხული ბრალდებულთა წრე გაფართოვდეს.

„შინაგან საქმეთა სამინისტრომ კახეთში მომხდარ ინციდენტებთან დაკავშირებით სიტუაციის განმუხტვის შემდეგ დაიწყო მომხდარის დეტალური შესწავლა. გამოძიება დაიწყო დანაშაულის ნიშნების შემცველ არაერთ ფაქტზე, რომლებზეც ამ ეტაპზე ინტენსიური საგამოძიებო მოქმედებები ტარდება. გამოძიება მათ შორის დაიწყო აქციის ერთ-ერთი მონაწილის შოთა დალაქიშვილის მიმართ განხორციელებული თავდასხმის ფაქტზე.

დავით კირკიტაძე გუშინვე წინასწარი დაკავების იზოლატორში გადაიყვანეს. კირკიტაძე ჯერ ბაკურციხის პოლიციაში, შემდეგ კი თელავის პოლიციის წინასწარი დაკავების იზოლატორში ჰყავდათ. მუხლი, რომლითაც დავით კირკიტაძე დააკავეს, 2 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. მას ბრალი ადგილზე გააცნეს და უთხრეს რომ მისი დაკავება სასამართლოს განჩინებით ხდებოდა.

ᲘᲛ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲓᲔᲓᲐ ᲕᲐᲢᲘᲠᲔ, ᲒᲠᲘᲒᲝᲚᲐ ᲕᲐᲨᲐᲫᲔ ᲒᲐᲓᲐᲢᲠᲘᲐᲚᲔᲑᲐᲡ ᲠᲝᲛ ᲓᲐᲣᲞᲘᲠᲔᲑᲡ!

ᲔᲡ განცხადება „ქართული ოცნების“ გენერალურმა მდივანმა გააკეთა. კახა კალაძე გაერთიანებული ოპოზიციის მიერ საპროტესტო აქციების დაანონსებას გამოეხმაურა: **„სასაცილოა, მათი განცხადებები. გაკოტრებული პოლიტიკური პარტიაა. ჩვენმა მოსახლეობამ ისინი გაისროლა პოლიტიკურ ნაგავსაყრელზე. მთელი არჩევნების განმავლობაში ცდილობდნენ დესტაბილიზაციის შეტანას. ჯერ იმ ხელისუფლებისა და სახელმწიფოს დედა ვატირე, გრიგოლა ვაშაძე გადატრიალებას რომ დაუპირებს. თვითონ იტრიალონ საკუთარ ოჯახებში და საკუთარ საწოლებში“,** — თქვა კალაძემ.

ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲬᲔᲕᲠ ᲥᲐᲚᲔᲑᲡ ᲓᲐᲣᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠᲓᲜᲔᲜ, ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲓᲐᲛᲪᲐᲕᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ ᲠᲔᲐᲒᲘᲠᲔᲑᲐᲡ ᲕᲔᲚᲝᲓᲔᲑᲘ

ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ **წევრ ქალებს დაუპირისპირდნენ, პარლამენტის კუთვნილი ავტომობილი დაზიანდა და დაიმტვრა, რაც ყოველგვარ პროტესტსა და სამართლებრივ ჩარჩოებს გასცდა, სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან რეაგირებას ველოდები,** — ამის შესახებ ჟურნალისტებს პარლამენტის პირველმა ვიცე-სპიკერმა თამარ ჩუგოშვილმა ოპოზიციის აქციასთან დაკავშირებით განაცხადა. მისი თქმით, პოლიტიკურად, ოპოზიციის მცდელობები სრულიად სახედაკარგული იყო.

„საქართველოს არჩეული პრეზიდენტის ინაუგურაციის ცერემონიის გადაფარვის თუ ჩაშლის მცდელობები იყო. სხვადასხვა ვიდეოჩანაწერში კონსტიტუციური უფლება კი არა, კანონდარღვევები და დანაშაულები ვიხილეთ. მათ შორის, პარლამენტის ქალი წევრების მიმართ. შინაგან საქმეთა სამინისტრომ ალტერნატიული გზებისა და ტრანსპორტის შეთავაზებაზე განცხადება არაერთხელ გააკეთა. ვინც აგრესიულად იქცეოდა და სახელმწიფოს კუთვნილ ქონებას ამტვრევდა, იმ ადამიანების ამოცანა გადაადგილება კი არ იყო, არამედ საკუთარი თავის ისე წარმოჩენა, როგორც წარმოაჩინეს“, — განაცხადა ჩუგოშვილმა.

ქართული სამედიცინო სისტემა არ არსებობს!

ინტერვიუ ამერიკაში მოღვაწე ქართველ ექიმთან

ქართული სამედიცინო სისტემა არ არსებობს! — აცხადებს ქართულ-ამერიკული სამედიცინო ასოციაციის, GAMPHA-ს პრეზიდენტი, პროფესორი **ზურაბ გურული**. ის ამერიკაში 90-იან წლებში გაემგზავრა. ამჟამად მისისიპის უნივერსიტეტის ანესთეზიოლოგიის კათედრის პროფესორი და ამავე შტატის დედაქალაქ ჯეკსონის ვეტერანთა ფედერალური ჰოსპიტლის ანესთეზიის, რეანიმაციისა და ქირურგიის დეპარტამენტების დირექტორია. წლებია ხედავს, როგორი პატივით ეპყრობა ამერიკა თავის გმირებს და იცის, როგორ მუშაობს გამართული სამედიცინო სისტემა, რადგან ისიც ამ სისტემის ნაწილია და სურს, თავისი ცოდნა თავის სამშობლოს გაუზიაროს.

— ალბათ, შემთხვევითი არ არის, რომ ჩვენმა მოქალაქეებმა ექიმების მიმართ ნდობა დაკარგეს და თუ შესაძლებლობა აქვთ, საზღვარგარეთ გარბიან სამკურნალოდ.

— ვერ გავამტყუნებ მათ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენი ექიმები უვიცის კლიშეს იმსახურებენ; თუ უვიცები ვართ, როგორ ხდება, რომ ყოველწლიურად 20-30 ახალგაზრდა ქართველი ექიმი ირიცხება ამერიკულ რეზიდენტურაში? ისინი თავისუფლად უწევენ კონკურენციას მსოფლიოს საუკეთესო ტვინებს! საქართველო არც გამოჩენილი ექიმების ნაკლებობას განიცდის. დიახ, ჩვენს ქვეყანას უზარმაზარი პოტენციალი აქვს, საზოგადოების უნდობლობა კი ქართული მედიცინის მახინჯმა სისტემამ, უფრო სწორად, უსისტემობამ გააჩინა.

— როდესაც ღიად აკრიტიკებთ სისტემის ნაბიჯებს და საყოველთაო ჯანდაცვას ანტისახელმწიფოებრივ პროგრამას უწოდებთ, ალბათ იცით, რომ ბევრი მოწინააღმდეგე გამოგიჩნდებათ...

— მაგრამ სათქმელი ხომ უნდა ითქვას? როდესაც ამ პოპულისტური პროგრამით საზოგადოების ე.წ. სრული გადაფარვა მოინდომეს, ვერ გაითვალისწინეს, რომ ეს პრაქტიკულად არც ერთი ქვეყნის ეკონომიკას არ ძალუძს. ბიუჯეტის განიავებისა და სახელმწიფოს გაღარიბების გარდა, ამ პროგრამამ უამრავი ბოროტება მოუტანა ადამიანებს, რადგან ჩვენს საავადმყოფოებში ასობით არასაჭირო, მავნებლური ქირურგიული ოპერაცია ჩატარდა. ამ ეტაპზე რთულია საზოგადოება დავარწმუნო ჩემი აზრის სისწორეში, მაგრამ ფაქტია. ამ სისტემის დანაშაულია გამოუცდელი ადამიანებით დაკომპლექტებული, ლამისაა სადარბაზოებში გახსნილი ინტენსიური განყოფილებები, მართვით სუნთქვაზე მიერთებული, უიმედო ავადმყოფები, სამედიცინო შეცდომები, ჯანმრთელი ადამიანებისთვის ჩატარებული ოპერაციები და ბიუჯეტიდან ფულის გამოძალვის მიზნით გადავსებული საწოლები. არც ამდენი კლინიკა გვჭირდება. ჩვენს სამმილიონიან ქვეყანას, რომელიც ერთი დიდი ამერიკული ქალაქის ზომისაა, რამდენიმე თანამედროვე სტანდარტების შესაფერისი კლინიკა ეყოფა, სადაც შესაძლებელი იქნება კვალიფიციური რეზიდენტების მომზადება; ყველა საჭირო, სერიოზული ოპერაციის ჩატარება, მაგრამ მედიცინა ახლა საქართველოში ხშირად, საეჭვო რეპუტაციის ბიზნესის წყაროა, ყოველგვარი რეგულაციების და საღი აზრის გარეშეა დამყარებული ქაოსი.

— რა მიზანი ჰქონდა ქართულ-ამერიკული სამედიცინო ასოციაციის დაარსებას? რა შეძელით და რა გახდა შეუძლებელი ამ ასოციაციის დაფუძნებით?

— ამერიკაში მყოფი ქართველი ექიმების შეკრება-ორგანიზების საქმეში დიდი როლი ითამაშა მაშინდელმა ხელისუფლებამ, კერძოდ აშშ-ში საქართველოს ყოფილმა ელჩმა ბათუ ქუთელიამ და ჯანმრთელობის სამინისტრანთა ფედერალური ჰოსპიტლის ანესთეზიის, რეანიმაციისა და ქირურგიის დეპარტამენტების დირექტორია. წლებია ხედავს, როგორი პატივით ეპყრობა ამერიკა თავის გმირებს და იცის, როგორ მუშაობს გამართული სამედიცინო სისტემა, რადგან ისიც ამ სისტემის ნაწილია და სურს, თავისი ცოდნა თავის სამშობლოს გაუზიაროს.

რომ. არ შემიძლია არ აღვნიშნო ქალბატონ მარიამ ჯაშის, პარლამენტის განათლების კომიტეტის ამჟამინდელი თავმჯდომარის განსაკუთრებული წვლილიც. მათი ხელშეწყობით ჩატარდა კონფერენცია „მედეა“ 2011 წლის იანვარში. იმედისმომცემი დასაწყისი გახლდათ, რადგან ვაშინგტონის შეკრებაზე ქართველი ექიმების 90% ჩამოვიდა. მახსოვს, კონფერენციაზე საკმაოდ მწვავედ წარიმართა დებატები, მაგრამ საბოლოოდ საღმა აზრმა გაიმარჯვა და ყველამ აღიარა ასოციაციის აუცილებლობა და სარგებელი ქვეყნისთვის. კონფერენციაზე დამასახელეს ამერიკაში ქართველი ექიმების კოორდინატორად, ჯანდაცვის მაშინდელმა მინისტრმა სანდრო ურუშაძემ კი ოფიციალურად გაფორმა ეს ბრძანება და ახლა ჯანდაცვის სამინისტროსთან არსებული საზღვარგარეთ მყოფი ქართველი ექიმების საკოორდინაციო საბჭოს მთავარ კოორდინატორად ვითვლები.

დასაწყისი საკმაოდ რთული იყო. სამინისტროს თანამშრომლები, ვისთანაც უშუალოდ გვქონდა ურთიერთობა, პირველ რიგში, პოლიტიკოსები არიან და სწრაფ შედეგებზე იყვნენ ორიენტირებული, მაგრამ ვამაყობ იმით, რომ დავარწმუნეთ სამინისტრო, რათა გვეფიქრა მხოლოდ მაღალ მიზანზე და არა მოსწრებაზე. საქმე ხომ პროფესიონალების უაღრესად მნიშვნელოვან ჯგუფთან გვაქვს, რომელთა ჩამოყალიბებას და გაზრდას 14-16 წელი სჭირდება, ამიტომ სერიოზულ რეფორმაზე ერთ ან თუნდაც სამ წელიწადში ლაპარაკი შეუძლებელი იყო და არის. საბოლოო ცვლილებები ერთი რომელიმე პარტიის ან პოლიტიკური ჯგუფის არსებობის პერიოდში კი არ უნდა მოხდეს, არამედ გონიერ ვადებში. ჩვენ საფუძველის ჩაყრას ვგეგმავდით, ნაყოფს კი სულ სხვა მთავრობის პირობებში ქვეყანა მოიმკიდა.

გეგმა ასეთი იყო: პირველ ეტაპზე უნდა შეგვექმნა ის, რაც ძალიან აკლია საქართველოს — რეზიდენტურის ანუ სამედიცინო განათლებისშემდგომი კლინიკური განათლების სისტემა. რადგან ამერიკული სისტემა ეფექტურია, შევთანხმდით, რომ ახლის გამოგონება საჭირო აღარ იყო. ამასთან, გვინდოდა დიპლომისშემდგომი განათლების საკითხები მოგვწესრიგებინა და ამის საფუძველზე მძლავრი პროფილური ასოციაციები შეგვექმნა, რომლებიც, ფაქტობრივად, თავად მოახდენდნენ თავიანთ დარგებში ხარისხის კონტროლს. პირველ ეტაპზე სახელმწიფოს ხელშეწყობით და ჯანდაცვის სამინისტროს გარკვეული კონტროლით, შემდეგ — ავტონომიურად. ასოციაციის სათავეში ამერიკელი და ევროპელი ექიმების, ჯანმრთელობის სამინისტროს წარმომადგენლების, საქართველოში მოღვაწე ექიმების ჯგუფი იქნებოდა.

— რა დაუჯდებოდა სახელმწიფოს ამ პროგრამის დაფინანსება?

— ეს ფინანსურად დიდი ტვირთი არ უნდა ყოფილიყო, რადგან საზღვარგარეთ მოღვაწე ექიმებმა, რომლებიც მაშინვე ჩაერთნენ სასწავლო მასალების მომზადებაში, უარი განაცხადეს ანაზღაურების მიღებაზე. არც მოგზაურობის ხარჯებს ვითხოვდით. თუ სახელმწიფო მოისურვებდა ამისთვის თანხა გამოეყო, მას უკლებლივ გადავრიცხავდით ახალგაზრდა ქართველი ექიმების განათლების ფონდში. მოკლედ, იმედიანად ვიყავით. 2012 წელს ბათუმში შემდეგი კონფერენციაც ჩავატარეთ, მაგრამ შეიცვალა ხელისუფლება და, სამწუხაროდ, ყველაფერი გაიყინა. ვწუხვარ, რომ წამოწყებული საქმე შეგვაჩერებინეს. 6 წელიწადი დავკარგეთ, ახლა ახალ ეტაპზე ვიქნებოდით გადასულები და პირველი ჯგუფი გვეყოლებოდა გამოწვრთნილი.

— ახალ მინისტრს შეხვდით?

— როგორც კი კოალიცია „ქართული ოცნება“ ხელისუფლების სათავეში მოვიდა, ბატონ სერგეენკოს შევხვდი. მას აბსოლუტურად განსხვავებული ხედვა ჰქონდა ქართული მედიცინის რეფორმებთან დაკავშირებით, რაც, ჩემი აზრით, არარეალური იყო. იგი თვლიდა, რომ საკმარისი იქნებოდა რამდენიმე კარგად დაკომპლექტებულ-აღჭურვილი კლინიკის შექმნა, სადაც უცხოეთიდან დაბრუნებული ქართველი ექიმები იმუშავებდნენ. საქართველოს ამჟამადაც არ აკლია გამოცდილი პროფესიონალები, მაგრამ მათი საქმიანობის არაეფექტურობა განპირობებულია სრული უსისტემობით.

— მინისტრთან შეხვედრის შემდეგ დანებდით დინებას?

— არა, მაგრამ სულ მალე მინისტრის მაშინდელმა მოადგილე დიმიტრი მახათაძემ ოფიციალურად განგვიცხადა, რომ ხელს არ შეგვიშლიდა საქველმოქმედო საქმიანობაში, თუმცა, სხვა მხრივ ჩვენი ურთიერთობის პერსპექტივას ვერ ხედავდა. მოკლედ, ამერიკელებიც მოგვიშორეს და ევროპელებიც. ჩვენთვის ნათელი გახდა, რომ სახელმწიფო ჩვენი რესურსის გამოყენებაზე უარს აცხადებს. ისე არ გამიგოთ, თითქოს მხოლოდ ეს ერთი ხელისუფლებაა საქართველოში, რომელიც შეცდომებს უშვებს, წინა ხელისუფლებასაც ჰქონდა ხარვეზები სამედიცინო კუთხით. თუნდაც ის ასი ამოჩემებული საავადმყოფო გავიხსენოთ. რესურსის გაფლანგვის გარდა, ასე სოკოებივით ამოზრდილი მცირე ზომის კლინიკები ვერ უზრუნველყოფდნენ საგანმანათლებლო ბაზებად ფუნქციონირებას. ახლა ისე გამოვიდა, რომ საზღვარგარეთ გამოზრდილი საუკეთესო ნაღები ჩვენი სამედიცინო ელიტისა, რომლებიც უანგაროდ ჩაერთნენ ამ დიდ საქმეში, პრაქტიკულად, დაკარგული არიან საქართველოსთვის; თუმცა, ობიექტურობისათვის უნდა აღვნიშნო, რომ რამდენიმე მაღალკვალიფიციური ექიმი დაბრუნდა საქართველოში და წარმატებითაც საქმიანობს საკუთარ კერძო პრაქტიკაში...

აშშ-სთან თავისუფალი ვაჭრობის ამოქმედება ინვესტიციებს გაზრდის

„მოხარული ვართ, აშშ-ის წარმომადგენელთა პალატამ საქართველოს მხარდამჭერი კანონპროექტი მიიღო, რომელიც ასევე ითვალისწინებს ამერიკასთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გაფორმებას“, — განაცხადა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა გიორგი ქობულიამ. მისი თქმით, კანონპროექტით წარმომადგენელთა პალატამ აშშ-ის სავაჭრო წარმომადგენლებს მოუწოდა, გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები საქართველოსთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებაზე მოლაპარაკების დაწყების მიმართულებით.

„ჩვენ ძალიან აქტიურად ვაპირებთ 2019 წელს ამ მიმართულებით მუშაობას“, — განაცხადა გიორგი ქობულიამ. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის აზრით, შეთანხმებაზე მუშაობის დროს შედგება კონსულტაციები როგორც აშშ-ის მთავრობის, ასევე ბიზნესის წარმომადგენლებთან.

„აშშ-დან ინვესტიციების მოზიდვა ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენი ვარაუდით, თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების ამოქმედების შემდეგ პირდაპირი ინვესტიციები ამერიკიდან საქართველოში 20-30 პროცენტით გაიზრდება. ჩვენ ასევე გავზრდით ვაჭრობის მაჩვენებელს აშშ-სთან. ამიტომ ახალი კანონპროექტის მიმართ დიდი ენთუზიაზმით ვართ განწყობილი“, — განაცხადა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა გიორგი ქობულიამ.

ჩიქოვანის ქუჩის რეაბილიტაცია დასრულდა

თბილისის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურმა საბურთალოს რაიონში სიმონ ჩიქოვანის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაასრულა. დასრულებულ პროექტს დედაქალაქის მერი კახა კალაძე მოადგილე ირაკლი ბენდელიანთან ერთად გაეცნო.

ჩიქოვანის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა. პროექტის ფარგლებში მთლიანად შეიცვალა მიწისქვეშა კომუნიკაციები და LED განათების ქსელი მოეწყო, რომელიც ელექტროენერგიას 60-70%-ით ზოგავს. პროექტის განხორციელება რთული იყო იმ თვალსაზრისით, რომ მუშაობა ღამის საათებშიც მიმდინარეობდა. ეს მჭიდროდ დასახლებული ქუჩაა და სამუშაოების წარმოება ასევე სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა ხმაურის მხრივ. ადგილობრივ მოსახლეობას მინდა მადლობა გადავუხადო იმისთვის, რომ საშუალება მოგვცა, 24-საათიან რეჟიმში გვემუშავა. აღნიშნულ ტერიტორიაზე უკვე მოწყობილია საპარკინგე ადგილები, ტროტუარი და რაც ამ კონკრეტულ ქუჩაზე იყო შესაძლებელი, ყველაფერი მაქსიმალურად არის გაკეთებული“, — განაცხადა კახა კალაძემ.

პროექტის ფარგლებში გზის სავალ ნაწილზე ასფალტ-ბეტონის საფარი დაიგო, მოეწყო ახალი სანიაღვრე სისტემა და ტროტუარი, რომელიც აქამდე ქუჩაზე არ არსებობდა. გარდა ამისა, მოეწყო ორი საყრდენი კედელი და შეიცვალა მიწისქვეშა კომუნიკაციების დაზიანებული მონაკვეთები. ტროტუარებზე მოეწყო შშმ პირთათვის ადაპტირებული გადასასვლელები, შეიცვალა გარე განათების ბოძები და დამონტაჟდა ახალი სანათები. სარეაბილიტაციო სამუშაოების ფარგლებში ასევე, მოწესრიგდა საპარკინგე სივრცეები. დედაქალაქის ბიუჯეტიდან ჩიქოვანის ქუჩის რეაბილიტაციაზე 2 077 777 ლარი დაიხარჯა. სამუშაოები კომპანია „ბლექ სი გრუპმა“ აწარმოა.

ამერიკამ საქართველოს მხარდამჭერი ორპარტიული კანონპროექტი მიიღო



ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლობითმა პალატამ ერთსულოვნად დაამტკიცა საქართველოს მხარდამჭერი აქტი, რასაც თვისობრივად ახალ ეტაპზე გადაჰყავს საქართველო-ამერიკას შორის პარტნიორობა, – ამის შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა დავით ზალკალიანმა პრესკონფერენციაზე განაცხადა.

მინისტრმა იმ საკითხებზე გაამახვილა ყურადღება, რასაც ორპარტიული კანონპროექტი ითვალისწინებს.

ზალკალიანის თქმით, აშშ-ის კონგრესი ამერიკის შეერთებულ შტატებში შესვლის აკრძალვისა და ფინანსური აქტივების დაყადაღების გზით, სანქციების დაწესებას მოითხოვს ყველა იმ პირისადმი, ვინც უშუალო მონაწილეობით ან დახმარების გაწევის გზით პასუხისმგებელია აფხაზეთის და ცხინვალის ტერიტორიაზე ადამიანის უფლებების უხეშ დარღვევაზე.

„ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლობითმა პალატამ ერთსულოვნად დააამტკიცა საქართველოს მხარდამჭერი აქტი, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია და თვისობრივად ახალ ეტაპზე გადაჰყავს საქართველო-აშშ-ს შორის სტრატეგიული პარტნიორობა. ორპარტიული კანონპროექტი ითვალისწინებს ძალიან მნიშვნელოვან გზავნილებს. პირველ რიგში, ის გმობს რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს ტერიტორიების აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის ოკუპაციასა და ფაქტობრივ ანექსიას. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ის ასევე გმობს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების უხეში დარღვევის ფაქტებს და არის განსაკუთრებული ხაზგასმა საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ რეზოლუციაზე ე.წ. ოთხოზორია-ტატუნაშვილის სიაზე.

აღნიშნული კანონპროექტი ითვალისწინებს გარკვეულ სანქციებს. კერძოდ, კონგრესი ამერიკის შეერთებულ შტატებში შესვლის აკრძალვისა და ფინანსური აქტივების დაყადაღების გზით სანქციების დაწესებას მოითხოვს ყველა იმ პირისადმი, ვინც უშუალო მონაწილეობით ან დახმარების გაწევის გზით პასუხისმგებელია რუსეთის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთის და ცხინვალის ტერიტორიაზე ადამიანის უფლებების უხეშ დარღვევაზე. კონგრესი ასევე ავალებს აშშ-ს აღმასრულებელ ხელისუფლებას კანონის მიღებიდან 60 დღის განმავლობაში ზემოხსენებულ დანაშაულებრივ ქმედებებში ბრალდებულ პირებზე წარმოადგინოს დეტალური ანგარიში“, – განაცხადა დავით ზალკალიანმა.

მინისტრის თქმით, აშშ-ის კონგრესი მხარს უჭერს საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ ინტეგრაციას. გარდა ამისა, კონგრესი შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს მოუწოდებს, რომ წარმოადგინოს ხუთი წლის ანგარიში, თუ რა მხარდაჭერა იყო საქართველოსთვის გამოხატული თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში.

„კონგრესი შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს, ასევე, მოუწოდებს, რომ წარმოადგინოს ხუთი წლის ანგარიში, თუ რა მხარდაჭერა იყო საქართველოსთვის გამოხატული თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში; ასევე წარმოადგინოს ხუთწლიანი სტრატეგია ამ მიმართულებით ამერიკის შეერთებული შტატების შემდგომ ქმედებებთან დაკავშირებით, რაც კიდევ უფრო გააძლიერებს საქართველოს უსაფრთხოებას და თავდაცვისუნარიანობას.

კანონპროექტში, ასევე, საუბარია აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან ქმედითი ნაბიჯების გადადგმაზე დეზინფორმაციის და პროპაგანდასთან ბრძოლაში საქართველოს მხარდაჭერაზე“, – განაცხადა დავით ზალკალიანმა.

საგარეო უწყების ხელმძღვანელმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი კანონპროექტში ასახულ კიდევ ერთ საკითხს, რომელიც საქართველოსა და ამერიკას შორის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებაზე მოლაპარაკებას უკავშირდება.

უცხოური მედია საქართველოს პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის ინაუგურაციაზე წერს

საქართველოს პირველი ქალი პრეზიდენტის ინაუგურაცია პროტესტის ფონზე, – ამ სათაურით ეხმაურება სააგენტო „ასოშიეტიდ პრესი“ თელავში გამართულ ღონისძიებას. სტატიაში აღნიშნულია, რომ ოპოზიციონერ აქტივისტებსა და სამართალდამცველებს შორის შეტაკება მას შემდეგ მოხდა, როდესაც ხელისუფლებამ თელავისკენ მიმავალი გზა გადაკეტა.

სტატიაში ასევე ვკითხულობთ – **„პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა საინაუგურაციო სიტყვაში განაცხადა, რომ ის იმუშავებს, რათა ხელი შეუწყოს ქვეყნის ნატო-სა და ევროკავშირში გაწევრიანების პროცესს“.**

„პირველი ქალი პრეზიდენტის არჩევით ახალი კონსტიტუცია ამოქმედდა, რომელიც პრეზიდენტის როლს ცერემონიალურ ფუნქციას ანიჭებს“, – ვკითხულობთ „დოიჩე ველეს“ სტატიაში.

„ზურაბიშვილმა მის საინაუგურაციო სიტყვაში განაცხადა, რომ გამოიყენებს მის გამოცდილებას ფრანგული დიპლომატიურ სამსახურიდან და საქართველოს საგარეო მინისტრობიდან, რათა ხელი შეუწყოს მისი ქვეყნის მისწრაფებას ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანებისკენ“, – აღნიშნავს ჟურნალისტი.

„დოიჩე ველეს“ სალომე ზურაბიშვილის ციტატაც მოჰყავს, სადაც საქართველოს პრეზიდენტი ამბობს: **„ჩემი პრეზიდენტობის მიზანია, შეუქცევადი გავხადო საქართველოს დემოკრატიული განვითარება და მისი გზა ევროპისკენ“.**

„ზურაბიშვილმა თანამდებობა დაიკავა, ოპოზიციამ კარვები გაშალა“, – ამ სათაურით ეხმაურება პრეზიდენტის ინაუგურაციას BBC.

BBC წერს, რომ ინაუგურაციის ცერემონია მრავალმხრივ უპრეცედენტო იყო. მათ შორის იმითაც, რომ ცერემონიის ოფიციალური ნაწილი პირველად გაიმართა დედაქალაქს გარეთ. როგორც სტატიაშია აღნიშნული, ლოკაცია შემთხვევით არ იყო შერჩეული და პრეზიდენტის მხრიდან მიზნად ისახავდა იმ ფაქტის ხაზგასმას, რომ მიუხედავად იმისა, როგორი არჩევანი გააკეთეს მოქალაქეებმა, ის ყველას პრეზიდენტია.

სტატიაში აღნიშნულია, რომ ოპოზიციურმა ძალებმა ვერ შეძლეს თელავში დაგეგმილი საპროტესტო აქციის გამართვა, რადგან ქალაქისკენ მიმავალი გზა გადაკეტილი იყო. შედეგად აქციამ თბილისში, პარლამენტთან გადაინაცვლა.

პატრიარქი რომის პაპს დაბადების დღეს ულოცავს

„თქვენო უწმინდესობავ, საქართველოს ეკლესიისა და პირადად ჩემი სახელით გულითადად გილოცავთ დაბადების დღეს. ჩვენ ყოველთვის სიყვარულით ვიხსენებთ თქვენს ვიზიტს საქართველოში და მიგვაჩნია, რომ მეტად მნიშვნელოვანია თქვენი მოღვაწეობა და ის წვლილი, რომელიც შეგაქვთ ტრადიციული ქრისტიანული ღირებულებების დაცვისა და განმტკიცების საქმეში. გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს და მრავალჟამიერ ნაყოფიერ მოღვაწეობას. ვლოცულობთ თქვენთვის“, – აღნიშნულია კათოლიკოს-პატრიარქის მისალოცწერილში.

აშშ-ს რუსოფობიურმა კამპანიამ დღემდე ვერაფერი მოუტანა

ვაშინგტონში ვინც არ უნდა იყოს ხელისუფლების სათავეში, აშშ რუსეთში კონკურენტს ხედავს. ამის შესახებ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა რადიო „კომსომოლსკაია პრავდასთან“ ინტერვიუში განაცხადა.

„მინდა, აღვნიშნო, რომ ეს რუსოფობია დაკავშირებულია აშშ-ში შიდაპოლიტიკურ ბრძოლასთან, რა თქმა უნდა, ვინც არ უნდა იყოს რუსეთთან კეთილი ურთიერთობების მომხრე, აშშ მაინც რუსეთში კონკურენტს ხედავს, ისევე როგორც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში“, – აღნიშნა ლავროვმა. მისი თქმით, აშშ-ს რუსოფობიურმა კამპანიამ დღემდე ვერაფერი მოუტანა.

„მაგრამ ამ პირობებშიც კი ჩვენ დიალოგისთვის მზად ვართ, არასდროს ვამბობთ უარს პროფესიონალურ საუბარზე იმ სფეროების ირგვლივ, რომლებშიც ჩვენი პარტნიორები მზად იქნებიან თანასწორად, პატიოსნად განიხილონ არსებული საფრთხეები და პრობლემები“, – განაცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა.

გირჩევთ თბილისში მოგზაურობას!

მოდის სამყაროში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული გამოცემა **Vogue** მკითხველს **თბილისში მოგზაურობას ურჩევს**. გამოცემის ჟურნალისტი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მოწვევით ესტუმრა და თბილისში გამართულ Mercedes Benz-ის მოდის კვირეულს დაესწრო. სტატიაში თბილისის ღამის ცხოვრება, ქალაქის არქიტექტურა, ქართული სამზარეულო და ღვინოა აღწერილი.

„თბილისი მრავალფეროვანი არქიტექტურით გამოირჩევა, აქ ოსმალური, სპარსული, ბიზანტიური სტილის ნაგებობები ერთმანეთთან არის შეზავებული. ქალაქში ძალიან ბევრი საბჭოთა შენობაა, რაც მთლიანობაში თბილისს მრავალფეროვნებას სძენს“.

Vogue-ის ჟურნალისტი ყურადღებას უთმობს აბანოთუბანს და გოგირდის წყლებს.

„აბანოთუბანში ბუნებრივი, გოგირდის ცხელი წყაროებია, რომელიც მე-5 საუკუნეში საქართველოს მეფემ აღმოაჩინა. გოგირდის აბანოები საუკეთესოა სტრესის მოსახსნელად. წყალს სამკურნალო თვისებებიც აქვს“. სტატიაში აღწერილია ქართული ღვინის დამზადების ტექნოლოგია. „საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე უძველესი ღვინის რეგიონია. ვაზის კულტივაციის და მაღალი ხარისხის ღვინის დაყენების ისტორია საქართველოში რამდენიმე ათას წელს ითვლის. ქართველი მეღვინეები დღემდე იყენებენ ქვევრს და ტრადიციული მეთოდით ამზადებენ ღვინოს. სანამ ღვინის ისტორიას, დამზადების წესებს შეისწავლი, მანამდე თავდავიწყების მორევში მოხვდები, რასაც ქართული ღვინის სურნელი და მისი გემო იწვევს“, – წერს Vogue-ის ჟურნალისტი.



◎ გამომცემლობა „ინტელექტი“

აკრძალული წიგნების სამყაროში

ალბათ, ყველას, ვისაც წიგნის კითხვა უყვარდა, ბავშვობაში ერთხელ მაინც გაქცევია თვალი მშობლების მიერ „აკრძალული წიგნებისკენ“ და პეპის, კარლსონის, ჟიულ ვერნისა თუ მაინ რიდის გმირების ნაცვლად ჩუმად წაგვიკითხავს „დეკამერონი“, „ჩოჩარა“, „ჯაყოს ხიზნები“, ედგარ პოს მისტიკა და ზოლასა და ბუვიეს რომანები. მაგრამ, ეს იყო მხოლოდ ასაკის გამო აკრძალვა და არა იმიტომ, რომ ეს ავტორები ტაბუდადებულნი და აკრძალულნი იყვნენ სამწერლო ასპარეზზე. მათ გარდა, არსებობდნენ პოლიტიკის, ფსიქოლოგიის, რელიგიური შინაარსის გამო აკრძალული მწერლები, რომელთა შესახებ ჩვენ არც ვიცოდით და მხოლოდ თავგადაკლულ წიგნის მოყვარულებს თუ სმენოდათ მათ შესახებ, ხოლო ნაწარმოების წაკითხვა ხომ მიუწვდომელი იყო არამარტო საბჭოეთში, არამედ მთელ მსოფლიოში.

ერთი წელიც არ არის, **გვანცა ჯობავამ** შესანიშნავი პროექტის განხორციელება დაიწყო ცნობილ გამომცემლობა „ინტელექტთან“ ერთად და მიზნად დაისახა, ქართველი მკითხველისთვისაც ხელმისაწვდომი ყოფილიყო ის წიგნები და ავტორები, რომლებიც სხვადასხვა ნიშნით იქნენ აკრძალულნი და დღესაც მათ ნაწარმოებებს ტაბუ აქვთ დადებული. ჯერჯერობით სერიით **„აკრძალული წიგნების თარო“,** სულ რამდენიმე ავტორია გამოცემული, ორ სიახლეს აქვე წარვუდგენთ ჩვენს მკითხველს. მომავალში გამომცემლობა და პროექტის ავტორი კიდევ ბევრ სიახლეს შემოგვთავაზებენ, როგორც პოსტსაბჭოთა მწერლებიდან, ისე მსოფლიო ლიტერატურიდან.

„ქრისტეს უკანასკნელი ცდუნება“

„ქრისტეს ორმაგი ბუნება ჩემთვის მუდამ ღრმა, ამოუხსნელ საიდუმლოს წარმოადგენდა. უაღრესად ადამიანურმა და, ამავდროულად, ზეადამიანურმა მისწრაფებამ – კაცი ღმერთს სწვდეს, ან, უფრო უკეთესად რომ ვთქვათ, დაბრუნდეს ღმერთში და მასთან გაიგივდეს, ამ მისწრაფებამ, რომელიც ასე იდუმალი და თან ძალიან ნამდვილია, ჩემში დიდი ჭრილობები გახსნა და ახალი წყაროები აღმოაცენა“, – ასე იწყება ცნობილი ბერძენი მწერლის **ნიკოს კაზანძაკისის** ყველაზე სკანდალური რომანი, რომელიც ვატიკანის აკრძალულ წიგნთა ნუსხაშია შეტანილი და რომლის ახალბერძნულიდან თათია მთვარელაძის თარგმანი „ინტელექტმა“ „აკრძალული წიგნების სერიით“ წარუდგინა მკითხველს.



აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ ბერძნული გამოცემის გამოჩენამდე საბერძნეთის სინოდი მწერლის განკვეთასა და ანათემაზე გადაცემას ითხოვდა, რის გამოც კაზანძაკისი იძულებული შეიქნა, სამშობლოდან გადასახლებულიყო.

რომანი აიკრძალა, მაგრამ როგორც „უცხო ხილს“ და ყოველგვარ აკრძალვასა და ტაბუდადებულს სჩვევია ის, რომ რომანმა გამოცემისთანავე მიიპყრო მთელი მსოფლიოს ყურადღება და რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, დღემდე დიდი პოპულარობით სარგებლობს.

„ქრისტეს უკანასკნელი ცდუნების“ წინააღმდეგ ახალი ტალღა მაშინ აგორდა, როდესაც ეკრანზე გამოვიდა ლეგენდარული რეჟისორის მარტინ სკორსეზეს ამავე სახელწოდების ფილმი. ეს იყო გასული საუკუნის 80-იანი წლების მიწურული. საბერძნეთის სასულიერო და საერო საზოგადოებამ ფილმის ბერძნული პრემიერის ჩაშლაც კი მოახერხეს. ამის მიზეზი თავად რომანისა და ფილმის შინაარსი გახლდათ.

რამ განაპირობა როგორც სასულიერო, ისე საერო საზოგადოების აღშფოთება? რომანში აღწერილია ქრისტეს ცხოვრების ბოლო წლები და ის გზა, რომელსაც მაცხოვარი გადის, რათა საკუთარ თავში ადამიანი დათრგუნოს და ღმერთი გააძლიეროს. ხეზე მომუშავე ოსტატი, რომელიც თვითონ ამზადებს ჯვრებს საიმისოდ, რომ რომაელებმა მესიის მოლოდინში მყოფი მეამბოხე ებრაელები დასაჯონ, მთელი არსებით ებრძვის მასში ჩასახლებულ ღმერთსაც და სატანასაც. ერთ მშვენიერ დღეს აღმოაჩენს, რომ თავადაა მესია და ჯვარზე თვითონ უნდა ავიდეს, რათა კაცობრიობის ცოდვები თავად იტვირთოს. კაცის ღმერთად ქცევის გზაზე მას უამრავი ცდუნებები ელის.

რომანი არამარტო ისტორიული, არამედ ფსიქოლოგიური ხასიათისაა. ნათლად იგრძნობა ნიცშესა და ფროიდის გავლენა, ნიცშეანული ფილოსოფია და ფსიქოანალიზი ზიგმუნდ ფროიდისა. ბერძენი მწერლის რომანმა მსოფლიო ლიტერატურაში ქრისტეს თემის ახლებურ გააზრებას დაუდო საფუძველი, რაც შემდგომში არაერთმა მწერალმა გაიზიარა.

„ალისფერი დამღა“



ცნობილი ამერიკელი რომანტიკოსი მწერლის **ნათანიელ ჰოთორნის** რომანი **„ალისფერი დამღა“,** რომელიც ინგლისურიდან **ანი კოპალიანმა** თარგმნა, საქართველოში აშშ-ის საელჩოს წიგნების თარგმნის პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა და გამომცემლობა „ინტელექტმა“ **ზვიად კვარაცხელიას** რედაქტორობით გამოსცა სერიით „აკრძალული წიგნების თარო“. რომანმა, რომელიც 1850 წელს გამოიცა, მაშინვე მოიპოვა საყოველთაო აღიარება და ავტორს დიდი სახელი მოუხვეჭა სამშობლოში და დროთა განმავლობაში ამერიკული ლიტერატურის კლასიკად იქცა.

რომანი აკრძალული სიყვარულის შესახებ მოგვითხრობს, მასში გაერთიანებულია საზოგადოებასთან დაპირისპირება, დანაშაულისა და სასჯელის ავტორისეული ხედვა. აღსანიშნავია, რომ რომანი თავისი შინაარსის გამო მრავალჯერ აიკრძალა სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის, მეფის რუსეთშიც. ეს აკრძალვა და ტაბუდადება სხვადასხვა ეპოქებშიც გრძელდებოდა, როგორც უხამსი, საზოგადოებრივი მორალის შეურაცხმყოფელი ნაწარმოები.

რამ განაპირობა რომანის აკრძალვა? უპირველესად, ავტორის ნათანიელ ჰოთორნის სიმპათიამ თავისივე პერსონაჟის, რომანის მთავარი გმირი ქალის ცხოვრებამ, რომელმაც თამამად გადააბიჯა არსებულ კანონებს და სასიყვარულო ურთიერთობა გააბა სასულიერო პირთან. სწორედ ამის გამო დაუპირისპირდა მას მთელი პურიტანული საზოგადოება.

რომანი, მიუხედავად იმისა, რომ საუკუნენახევრის წინაა დაწერილი და თითქოსდა თანამედროვე მკითხველისთვის არცთუ ისე საინტერესო უნდა აღმოჩნდეს, მეტად თავისუფლად და გაუნელებელი ინტერესით იკითხება, ბევრი საჭირბოროტო საკითხი დღევანდელობისთვისაც აქტიურია, მიუხედავად იმისა, რომ „აკრძალული წიგნების“ დამღა აძევს.

ავთანდილ ბექაური

„საარკმელი საქართველოსკენ“

„საარკმელი საქართველოსკენ“ – ჩინეთში ქართული კულტურის პირველი მუზეუმი გაიხსნა. საქართველოს კულტურის მუზეუმი ჩინეთში პირველი და ერთადერთი ქართული ერთვნული პავილიონი, რომელსაც საქართველოს მთავრობამ ოფიციალურად მიანიჭა ავტორიზაცია და გადასცა წარმომადგენლობითი სერტიფიკატი, მდებარეობს ქალაქ ივუში. პროექტი მილიონ ნახევარი დოლარი დაჯდა.

პროექტის იდეა საქართველოს, ღვინის სამშობლოდ წოდებული ქვეყნის, კულტურის გაცნობის შემდეგ, კომპანია „სუოლუნის“ დირექტორ სანდრო ბერიძეს დაებადა. სანდრო ბერიძე წარმოშობით ჩინელია. მისი ჩინური სახელია ი შიაო ჯუნი. საქართველოს გაცნობის შემდეგ, იგი ქრისტიანად მოინათლა, ქართული სახელი სანდრო დაირქვა. აღსანიშნავია, რომ ჩინეთში მას ქართული სახელითა და გვარით იცნობენ. იგი ყველგან სიამაყით აცხადებს, რომ საქართველო მისი მეორე სამშობლოა.

მუზეუმი 800 კვადრატულ მეტრს მოიცავს, განთავსებულია ქალაქის ყველაზე მაღალი შენობის, უმაღლესი კლასის სასტუმროს – „შანგრილას“ პირველ სართულზე, მაღალი დონის რესტორნების გვერდით. მუზეუმის გახნის დღეს, სამოცდაათსართულიანი სასტუმრო მთლიანად განათებული იყო საქართველოს დროშის ფერებში. ამ შთამბეჭდავი სანახაობის ხილვა შესაძლებელი იყო ქალაქის ნებისმიერი კუთხიდან. ქალაქი ივუ, სადაც მუზეუმი მდებარეობს, ბიზნესსამყაროს გასაღებია ჩინეთში.

მუზეუმში სანახაობა იწყება ქართლის დედით. მის მარჯვნივ მოთავსებულია საქართველოს დროშა, ხოლო მარცხნივ – ქვევრი, როგორც ღვინის სამშობლოს თანმდევი ატრიბუტი. კედელი მორთულია ყურძნის ორნამენტები. შვიდმეტრიანი ქვევრი მთავარ ჰოლშია აღმართული, და მთავარი შესასვლელის წინ დგას. ქვევრის კედელზე ანათებს წარწერა: „ღვინის სამშობლო“. უკანა კედელზე გამოსახულია რთველი. ჰოლში მდებარეობს ქართული რესტორანი, რომელიც ცნობილია უგემრიელესი კერძებით. რესტორნის ინტერიერიც ღვინის თემატიკას ემსახურება.

მთლიანი პერიმეტრი ორ სართულს მოიცავს. მეორე სართულზეა „ქართული ვაზის კულტურის დერეფანი“. ჭერი მოხატულია უნიკალური 525 ქართული ვაზის ჯიშებით. დერეფნის ერთი კედელი მოჭედილია ისტორიული ფოტოებით, რომელიც ასახავს ქვევრის და ღვინის კულტურას საქართველოში. აქვე განთავსებულია გორისციხეში აღმოჩენილი, რვა ათასი წლის წინანდელი ქვევრის ასლიც.

მუზეუმში შეგვიძლია პირდაპირ ქვევრიდან დავაგემოვნოთ ღვინო. მეორე სართულზე განთავსებულია 300 წლის საწნახელი. მუზეუმშია სამი **VIP** კლასის ოთახი, სადაც მსურველები განმარტოებით სადილობენ და მართავენ წვეულებებს.

აჭარა უფრო მეტია, ვიდრე ზღვა

„National Georgraphic Traveler“ ბათუმის შესახებ მორიგ სტატიას აქვეყნებს. „ფიქრები საქართველოზე“ – ასე ჰქვია სტატიას, სადაც საუბარია აჭარაზე, როგორც ოთხივე სეზონზე მიმზიდველ ტურისტულ ადგილზე.

„წარმოიდგინეთ ლურჯ ზღვასთან, თეთრი იალქნების ფონზე სიმწვანეში ჩაფლული სახლები, ამას დაუმატეთ ლას ვეგასი, თანამედროვე სასტუმროებით, კაზინოებით, კაფეებითა და გადატვირთული პრომინადით... და ბოლოს გადაინაცვლეთ უძველეს, ისტორიულ ადგილებში. აჭარას გააჩნია ეს ყოველივე და უფრო მეტიც“, – ამ სიტყვებით იწყება სტატია, რომელიც პოლონურ გამოცემაში გამოქვეყნდა. მასალაში აჭარა წლის ოთხივე სეზონზეა განხილული თავისი საზღვაო კურორტით, ვენახებით, კულტურული მემკვიდრეობითა და ტურისტული ინფრასტრუქტურით.

„National Georgraphic Traveler“-მა 2018 წლის განმავლობაში აჭარას ჯამში სამი საინტერესო სტატია მიუძღვნა. რეგიონის ტურისტული პოტენციალი წელს ასევე, წარმოდგენილი იყო გამოცემის საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელსაც აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის წარმომადგენლების გარდა საერთაშორისო ტურისტული კომპანიების, ორგანიზაციებისა და მედიასაშუალებების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ᲯᲘᲣᲓᲝ

ᲛᲬᲕᲔᲠᲕᲐᲚᲖᲔ – ᲝᲗᲮᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ

ᲝᲠᲘ ოქროს, ერთი ვერცხლის, ორი ბრინჯაოს მედალი და გუნდური პირველი ადგილი – ასეთია ქართველ ძიუდოისტთა ნადავლი ჩინურ გუანჩჟოუში გამართულ კიმონოიანთა მასტერსზე. ასპარეზობის პირველ დღეს ჩვენებურთაგან კვარცხლბეკზე ავიდნენ ამირან პაპინაშვილი (60 კგ), ვაჟა მარგველაშვილი (66 კგ) და ლაშა შავდათუაშვილი (73 კგ).

პაპინაშვილმა ფინალამდე სამი შეხვედრა მოიგო იპონით – ჯერ მასპინძელი იი შანი, შემდეგ რუსი ისლამ იაშუევი და მონღოლი ამარტუვშინ დაშდავაა დაამარცხა, გადამწყვეტი პაექრობა კი რუსეთის სახელით მოასპარეზე

რობერტ მშვიდობაძესთან დამატებით დროში ვაზარით დათმო და ვერცხლის მედალს დასჯერდა.

მარგველაშვილმა სტარტზე კუბელ ოსნიელ სოლისს სძლია, მეოთხედფინალი ყაზახ იელდოს ჟუმაკანოვთან წააგო, დამამშვიდებელში მონღოლი ხერლან განბოლდი და ბრაზილიელი დანიელ გარნინი დაამარცხა და მესამე ადგილზე გავიდა.

მასტერსზე მესამე იყო ოლიმპიური ჩემპიონი შავდათუაშვილიც. პირველ წრეში მან თურქ ბილალ ჩილოღლუსთან იზეიმა გამარჯვება, მეორე შეხვედრა აზერბაიჯანელ რუსტამ ორუჯოვთან გაფრთხილებებით წააგო, რეპეშაჟში კოსოვოელი აკილ გიაკოვი იპონით, ხოლო მონღოლი ოდბაიარ განბაატარი შებოჭვით დაჯაბნა.

საქართველოს ნაკრების კაპიტანმა ვარლამ ლიპარტელიანმა 100 კილოგრამ წონით კატეგორიაში ზედიზედ ჩამოიშორა გზიდან რუსეთის ნაკრების წევრი ნიაზ ბილალოვი, ირლანდიელი ბენჯამინ ფლეჩერი და ებრაელი პეტერ პალჩიკი, გადამწყვეტ პაექრობაში კი ოტგონბაატარ ლხაგვასურენი (მონღოლეთი) არ გამოუცხადდა და ქართველმა უბრძოლველად დაიკავა პირველი ადგილი.

მსოფლიოს მასტერსი ქართული ჰიმნით დაგვირგვინდა: +100 კილოში მოქმედმა მსოფლიოს ჩემპიონმა გურამ თუშიშვილმა ყირგიზი იური კრაკოვეცკის, ავსტრიელი შტეფან ჰეგისა და იაპონელი კოკორო კაგუერას დამარცხების შემდეგ ფინალში ბრაზილიელი რაფაელ სილვა წუთსა და 15 წამში შებოჭა და მძიმე წონაში მსოფლიოს რეიტინგის ლიდერის პოზიცია კიდევ უფრო გაიმყარა. საგულისხმოა, რომ ლიპარტელიანმა და თუშიშვილმა მსოფლიოს მასტერსზე ზედიზედ მეორედ გაიმარჯვეს.

გუანჩჟოუში ჩვენი ნაკრებიდან უმედლოდ მხოლოდ ლუხუმ ჩხვიმიანი (60 კგ) და ბექა ღვინიაშვილი (90 კგ) დარჩნენ.ეს უკანასკნელი ჰოლანდიელ ნოელ ვან ტენდთან ზედიზედ მეოთხედ დამარცხდა.

90 კილოგრამ წონით კატეგორიაში ოქროს მედალი ესპანეთის ნაკრების წევრმა ნიკოლოზ შერაზადიშვილმა მოიპოვა.

ᲚᲔᲥᲡᲝ ᲪᲘᲜᲪᲐᲫᲔ

ᲞᲐᲠᲐᲤᲐᲠᲘᲙᲐᲝᲑᲐ

ᲮᲔᲪᲣᲠᲘᲐᲜᲘᲡ ᲛᲔ-13, ᲘᲐ�პᲝᲜᲣᲠᲘ ᲯᲘᲚᲓᲝ

ᲘᲐ�პᲝᲜᲣᲠ კიოტოში 2018 წლის მსოფლიოს თასი გათამაშდა, სადაც სამი ქართველი პარამოფარიკავე მონაწილეობდა. ეტლით მოსარგებლე ქალთა ხმლით ფარიკაობაში B კატეგორიის სპორტსმენებს შორის თბილისელმა ირმა ხეცურიანმა ჯგუფში ხუთი მეტოქე დაჯაბნა: ტატიანა პოზნიაკი (უკრაინა, 5:0), ლუდმილა ვასილიევა (რუსეთი, 5:2), იადვიგა პასეკი (პოლონეთი, 5:4), ანასტასია კაშსტიუშკოვა (ბელარუსი, 5:1) და სულენ როდოლფო (ბრაზილია, 5:2), მაგრამ ერთი პაექრობა უკრაინელ ოლენა ფედოტასთან წააგო (3:5).

მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონმა, მსოფლიოს თასების არაერთგზის გამარჯვებულმა პლეი-ოფშიც იყოჩაღა: ჯერ სოფი საბლონი (საფრანგეთი) ჩამოიშორა გზიდან – 15:12, შემდეგ მის გზას გაუყენა პოლონელი პატრისია ჰარეზა - 15:6, ნახევარფინალში უნგრელ მეზო ბოდლარკას (უნგრეთი) აჯობა 15:9, გადამწყვეტ პაექრობაში კი დამამჯერებელი გამარჯვება მოიპოვა ოლენა ფედოტასთან (უკრაინა, 15:4) და ჯგუფში მარცხისთვის რევანში აიღო. ირმა ხეცურიანმა კარიერაში მე-13 ოქროს მედალი მოიპოვა.

A კატეგორიის პარამოფარიკავეებში ცდიდნენ ძალებს ქართველი მოხმალავეები – ნინო თიბილაშვილი და გვანცა ზადიშვილი, თუმცა, ისინი ათეულში ვერ მოხვდნენ: თიბილაშვილმა მე-11, ხოლო ზადიშვილმა 27-ე ადგილი დაიკავა.

ᲒᲘᲕᲘ ᲒᲐᲒᲣᲐ

ᲙᲐᲠᲐᲢᲔ

ᲕᲔᲜᲔᲪᲘᲣᲠᲘ ᲛᲔᲓᲚᲔᲑᲘᲗ

სხვადასხვა ასაკის 3000-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა იტალიურ ვენეციაში გამართულ კარატისტთა საერთაშორისო ტურნირში, მათ შორის – საქართველოს 32 წარმომადგენელი. მათ თითო ოქრო-ვერცხლისა და ორი ბრინჯაოს მედალი დაიმსახურეს.

21-წლამდელებში 67 კილოგრამ წონით კატეგორიაში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა შოთა აბუაშვილი. ქართველმა კარატისტმა ზედიზედ დაამარცხა ლუკა დუსტე (იტალია, 4:0), მისი თანამემამულე მარკო ლაზარინი (2:0), იონას პლეიჰენი (დანია, 5:0), ვალენტინ ჟუკი (რუსეთი, 4:2), იდარ ვედერფუურტი (ჰოლანდია, 4:2), ფინალში კიდევ ერთ მასპინძელ ფრანჩესკო პინტოს აჯობა 1:0 და პირველი ადგილი დაიკავა.

ამავე წონაში მესამე იყო თბილისელი ვიტალი კუჩერენკო. მან ჯერ იტალიელი მასიმილიანო დესიო დაჯაბნა – 7:0. შემდეგ – დანიელ იონსენი (დანია)მსაჯთა გადაწყვეტილებით. მესამე წრეში კუჩერენკო ფრანჩესკო პინტოსთან დამარცხდა, დამამშვიდებელში კი ზედიზედ დაჯაბნა ჰუგო ვალესტერი (0:0, ისევ არბიტრების გადაწყვეტილებით), ჯორდან ნევესი (ლუქსემბურგი, 4:1), ინგლისელი სემ დეი – 7:6 და მესამე პრიზიორი გახდა.

21-წლამდელებში თამაზ გოჩელაშვილმა (84 კგ) მარსელ კიში (უნგრეთი, 4:1), მატეო პონტემპი (იტალია, 6:0), ჯოელ მოერკერკი (პოლონეთი, 4:3), ელდინ მახმუტოვიჩი (ბოსნია-ჰერცეგოვინა, 1:0) ჩამოიშორა გზიდან, ფინალი კი გრეგ ანდერსონთან (შოტლანდია) წააგო 1:2 და ვერცხლის მედალს დაყაბულდა.

20-წლამდელებში დავით საღრიშვილმა (63 კგ) თავიდან ოთხ მეტოქეს სძლია – იოსიფ სლუკიჩს (ხორვატეთი, 1:0), მატეი მელიჩერს (სლოვაკეთი, 5:1), იასიმ ტინასეკს (ჩეხეთი, 1:0) და მიგელ კარვახალს (პორტუგალია, 4:2), ნახევარფინალური პაექრობა კი აზერბაიჯანელ ტეილ იაგუბოვთან დათმო 1:4. ამ უკანასკნელმა ფინალში რუს სერგეი ტიტოვსაც მოუგო (6:0) და ოქროს მედალი მოიპოვა. ბრინჯაოს მედლისთვის საღრიშვილმა ლუკა ქაჯაიას მძლეველ ესპანელ ბაპტისტე აჩარდისთან პაექრობა ფრედ – 0:0 დაასრულა, მაგრამ არბიტრების გადაწყვეტილებით გამარჯვება და მესამე ადგილი ქართველ კარატისტს ხვდა.

ᲚᲐᲨᲐ ᲓᲘᲓᲘᲐ

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲚᲘᲠᲡᲔᲑᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲒᲐᲐᲩᲜᲘᲐ

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ცნობილია, გაისად მაისში ჩემპიონთა ლიგის ფინალურ მატჩს ესპანეთის დედაქალაქი უმასპინძლებს, უფრო კონკრეტულად კი – მადრიდის „ატლეტიკოს“ საშინაო სარბიელი „ვანდა მეტროპოლიტანო“, ამიტომ სავსებით გასაგებია დიეგო სიმეონეს გუნდისა და მის ქომაგთა ოპტიმიზმი, იქნებ ნავსი ამჯერად მაინც გატყდეს და ყველაზე პრესტიჟული ევროტურნირის რამდენიმეგზის ფინალისტმა, ბოლოსდაბოლოს, პრესტიჟული ჯილდო მოიპოვოს.

ძნელი სათქმელია, როგორ განვითარდება მოვლენები, მაგრამ ფაქტია, რომ მერვედფინალური ეტაპის კენჭისყრისას პირენეელებს არ გაუმართლათ, რადგან ტურინის „იუვენტუსის“ სახით 12 თებერვალსა და 5 მარტს მრისხანე მეტოქე ეყოლებათ.

არანაკლებ მძაფრი ბრძოლებია მოსალოდნელი **„ლივერპულ“ – „ბაიერნის“, „მანჩესტერ“ – „პარი სენ-ჟერმენისა“ და „ტოტენჰემ“ – „დორტმუნდის“ წყვილებში, იოლი გასეირნება კი, ალბათ, არც დანარჩენ ბობოლებს ელით: „აიაქსი“ – „რეალი“, „რომა“ – „პორტუ“, „ლიონი“ – „ბარსელონა“ და „შალკე“ – „სიტი“.**

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲨᲝᲗᲐᲫᲔ

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲭᲘᲓᲐᲝᲑᲐ. **აბსოლუტური ფალავნობა. 1. ბექა ბერძენიშვილი (მეტეხი); 2. გიორგი პაპუნაშვილი (გორი); 3. ლაშა ტაველური (თბილისი).**

ᲠᲐᲒᲑᲘ. კონტინენტის ფარი. „კალვიზანო“ (იტალია) – „ლოკომოტივი“ (თბილისი) 13:20.

ᲡᲐᲢᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ: „კალვიზანო“ – 10, „ლოკომოტივი“ – 9, „ფიამე ორო“ (იტალია) – 1 ქულა.

დარჩენილი შეხვედრები:

12 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ. „ლოკომოტივი“ – „ფიამე ორო“; **19 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ:** „ფიამე ორო“ – „კალვიზანო“.

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ. ადრიატიკის ლიგა. „მეგა ბემაქსი“ – „ცრვენა ზვეზდა“ 68:78. **გოგა ბითაძის** მონაგარი 33 წუთში: 23 ქულა, 6 მოხსნა, 3 დაფარება.

ᲕᲘᲢᲐᲚᲘ ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ

სანთელი

ამრიდონ ჩეგიანი

გარდაიცვალა ამრიდონ ჩეგიანი — ქართველი პოეტი, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, ღირსების ორდენის კავალერი, აფხაზეთიდან დევნილი შემოქმედებითი ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენელი, შესანიშნავი პიროვნება, მრავალრიცხოვანი ოჯახის თავკაცი, ჩვენი დიდი მეგობარი და თითოეული დევნილის გულანთებული გულშემატკივარი.

ქართველი საზოგადოებრიობისათვის კარგადაა ცნობილი ამრიდონ ჩეგიანის მრავალწახნაგოვანი შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობა. იგი 16 პოეტური კრებულის ავტორია. მისი პოეზია სათავეს იღებს ხალდეს უმშვენიერესი და უმკაცრესი მწვერვალებიდან. მისი ლექსები გაჟღენთილია სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულით, მისდამი თავგანწირვის უპირობო მზაობით და მამულიშვილური მოწოდებითაც, რომ ყველაზე დიდი ჭეშმარიტება ამქვეყნად სამშობლოა, რომლისთვისაც სიცოცხლეც ღირს და სიკვდილიც.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, ვიდრე აფხაზეთის ტრაგედიამდე, ამრიდონ ჩეგიანი მშობლიურ სოფელში, გუდაუთის რაიონის სოფელ ოთხარაში მოღვაწეობდა. აფხაზეთში დატრიალებული ძმათამკვლელი ომის პერიოდში კი მან, ისევე, როგორც ეს ჭეშმარიტ, მაღალი ჰუმანური იდეალების მატარებელ ადამიანებს სჩვევიათ, დაპირისპირებულ მხარეთა შორის მომრიგებლისა და მშვიდობისმყოფელის ფუნქცია იტვირთა და ძალასა და ენერგიას არ იშურებდა, როგორც ქართველი, ასევე აფხაზი მშვიდობიანი მოსახლეობის გადასარჩენად: ამრიდონ ჩეგიანის მშობლიური სოფელი ოთხარა დაქირავებული მეომრების მიერ მოექცა ალყაში. აშკარა გენოციდის საშიშროების წინაშე იდგა სოფლის ქართველი მოსახლეობა — 120 კომლი, რომელთა უმეტეს ნაწილს ქალები და ბავშვები შეადგენდნენ. სოფლის რჩეული ახალგაზრდობა ტყვედ იქნა აყვანილი. ამრიდონ ჩეგიანმა, ჭეშმარიტად რაინდული სულითა და შემართებით სოფელში ჩამოაყალიბა „სოფელ ოთხარის ხსნის კომიტეტი“, რომელსაც თავად ჩაუდგა სათავეში და რომელშიც, ქართველებთან ერთად, სოფლის უხუცესი აფხაზებიც გაერთიანდნენ. ამრიდონ ჩეგიანმა, სახალხო დიპლომატიის ყველა შესაძლებლობის გამოყენებით, შეძლო კონტაქტის დამყარება გუდაუთის ხელისუფლებასთან. მისი პირადი ძალისხმევის, ჭეშმარიტად წინდახედული და გონივრული მოქმედების შედეგად გაკეთდა ე. წ. სამშვიდობო დერეფანი, ტყვეობიდან განთავისუფლდნენ სოფლის ახალგაზრდები და ოთხარის მრავალრიცხოვანი მოსახლეობა გადაურჩა სრულ განადგურებას.

ეს ჭეშმარიტად გმირული საქციელი ნათლის სვეტად ადგას მის მიერ განვლილ ნაყოფიერ მოღვაწეობას, მისი გულიდან ამოხეთქილ თითოეულ სტრიქონს.

გვეამაყება, რომ ამ რამდენიმე თვის წინათ საგულდაგულოდ აღვნიშნეთ ამ ღირსეული მამულიშვილის 80 წლის იუბილე, რომელსაც აფხაზეთიდან დევნილ შემოქმედებით ინტელიგენციასთან ერთად, ქვეყნის სახელოვანი მწერლები, პოეტები, მხატვრები და მისი მრავალფეროვანი შემოქმედების თაყვანისმცემლები ესწრებოდნენ. იუბილეს ბატონი ამრიდონი თავისი მორიგი, ახალი წიგნით შეხვდა...

ამრიდონ ჩეგიანის, როგორც დაუღალავი შემოქმედის სახელი სამუდამოდ შემორჩება მადლიერ შთამომავლობას და დიდ ქართულ ლიტერატურას.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა,

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

სანთელი

შვილი მამუკა ნიკოლაიშვილი, რძალი ინგა ქორიძე, შვილიშვილები გიორგი, ქრისტინე ნიკოლაიშვილები, მძახალი ავთო ქორიძე, შვილიშვილი ოთო ნიკოლაიშვილი, ნათესავები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლუიზა გეწაძე

გამოსვენება: 18 XII, 14 სთ;
მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის №28. I სადარბაზო, II სართული.

მზია ქაჯაია, შორენა, ვოვა იოსელიანები თანაუგრძნობენ ვალოდია დათუნაშვილს მეუღლის, ეკა, შალვა, ანანო დათუნაშვილებს ძვირფასი დედის

ნატო ჩეკურიშვილი-დათუნაშვილის

გარდაცვალების გამო.



უახლოესი მეგობრები ყოფილი პირველი ვაჟთა სკოლიდან **თამაზ შილაკაძე** და **თეიმურაზ ებრალიძე** დიდი გულისტკივილით იხსენიებენ, რომ ორმოცი დღის წინ გარდაიცვალა მათი თანაკლასელი, სკოლის ასაკშივე განსაკუთრებული ნიჭით, თავმდაბლობითა და კეთილშობილებით გამორჩეული, შემდგომ კი წარჩინებული ფიზიკოსი და მთამსვლელი

გოგი როსტომაშვილი

და თანაგრძნობას უცხადებენ მისი ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

ნათელში ამყოფოს უფალმა მისი სული.

ნაირა, ზურა, ლევან კეკელიები ოჯახებით დიდი გულისტკივილით თანაუგრძნობენ მამიდაშვილს მერაბ გიორგაძეს მეუღლის

მარინა ჭუმბურიძე-გიორგაძის

გარდაცვალების გამო.

გმირებს არ ივიწყებენ

ვალერი არძანიას სახელობის არტ-გალერეაში აფხაზეთის ომში გმირულად დაღუპული 28 მეომრის ოჯახს სახელმწიფო ჯილდოები — ვახტანგ გორგასლის I, II, III ხარისხის ორდენები და მედლები — მხედრული მამაცობისთვის გადაეცა.

ჯილდოები დაღუპულთა ოჯახის წევრებს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ვახტანგ ყოლბაიამ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ელგუჯა (გია) გვაზავამ, ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორმა ვლადიმერ იმნაძემ და ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორის მოადგილემ ჯანდრი უბირიამ გადასცეს.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი განსაკუთრებული მამაცობისა და თავდადებისათვის (სიკვდილის შემდეგ) დაჯილდოვდნენ:

ვახტანგ ღვინჯილია (ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენი), **ლევან თოდუა** (ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენი), **მერაბ ქვილითაია** (ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენი), **შოთა ფაჩუაშვილი** (ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენი), **თენგის კოპალიანი** (ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენი), **შერმადინ ქობალია** (ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენი), **მურმან ლეთოდიანი** (ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენი), **რომან ლეთოდიანი** (ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენი), **ავთანდილ გოგუა** (ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენი), **რეზო ღვინჯილია** (ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენი), **ხვიჩა სულაკაძე** (ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენი), **ბადრი შელეგია** (ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენი), **თამაზ მიქაძე** (ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენი), **გიორგი თვალავაძე** (ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენი), **თენგიზ ვეკუა** (ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენი), **გია ლიპარტია** (ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენი), **ელგუჯა მანაგაძე** (ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენი), **მერაბ ზარანდია** (ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენი), **რევაზ გელაშვილი** (მედალი), **გენადი გაბუნია** (მედალი), **მამუკა ჯელაძე** (მედალი), **დათო ბენდელიანი** (მედალი), **ვახტანგ ხურცილავა** (მედალი), **თემურ ხასია** (მედალი), **გია ჯახია** (მედალი), **გივი უგრეხელიძე** (მედალი), **მაცი ქირია** (მედალი), **ვალტერ ღვინჯილია** (მედალი).

დაჯილდოებას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების წარმომადგენლები, დაღუპული მებრძოლების ოჯახის წევრები, ახლობლები და ვეტერანები ესწრებოდნენ.

აფხაზეთის ომში გმირულად დაღუპული მეომრები აფხაზეთის მეომართა კავშირის ინიციატივითა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარდგინებით საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა 2018 წლის 29 ნოემბრის განკარგულებით დააჯილდოვა.

ავტოსაგზაო შემთხვევას მოტოციკლის მძღოლი ემსხვერპლა

ბათუმში, ხიმშიაშვილის ქუჩაზე ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა. არსებული ინფორმაციით, მოტოციკლის მძღოლი ავტომობილს შეეჯახა, მოტოციკლიდან გადავარდა და ბორდიურს დაეჯახა. მომხდარის შედეგად ის ადგილზე გარდაიცვალა.

თონეში აფეთქება მოხდა

ფოთში, ფარნავაზ მეფის ქუჩაზე, სავარაუდოდ, ბუნებრივი აირის გაჟონვის შედეგად, თონეში აფეთქება მოხდა. მომხდარის შედეგად ერთი ადამიანი დაშავდა, რომელიც აღნიშნულ ობიექტზე იყო დასაქმებული.

დაშავებულს პირველადი სამედიცინო დახმარება სასწრაფოს ექიმებმა გაუწიეს და ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს. ექიმების ინფორმაციით, მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

კვლავ გაზით დაღუპულები

გორში, სამეფოს ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელ სახლში ერთი გარდაცვლილი და ორი უგონო მდგომარეობაში მყოფი მამაკაცი იპოვეს.

წინასწარი ინფორმაციით, ახალგაზრდა მამაკაცის გარდაცვალების მიზეზი, სავარაუდოდ, გაზით ინტოქსიკაცია გახდა.

რაც შეეხება ორ უგონო მდგომარეობაში მყოფ მამაკაცს, ისინი გორის სამხედრო ჰოსპიტალში გადაიყვანეს.

ლიზი ბუდაღაშვილის გრანდიოზული წარმატება!



ჩვენმა სახელოვანმა სტუდენტმა **ლიზი ბუდაღაშვილმა,** რომელიც ამჟამად სწავლობს ამერიკულ კოლეჯში UWC (United World College Dilijan), მორიგ გრანდიოზულ წარმატებას მიაღწია. მან გაიმარჯვა კოლეჯში (სადაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩასულია უნიჭიერესი ნორჩი ხელოვანები) მოწყობილ ულამაზეს წვეულებაზე სამ ნომინაციაში – საუკეთესო მხატვარი, საუკეთესო სტილისტი და პერსონა, რომელიც შესაძლოა, ძალიან სახელგანთქმული გახდეს.

მაია ლობჟანიძე: – „ვფიქრობ გასახარია (ოჯახის წევრები არასდროს ვიყენებთ სიტყვას „მეამაყება“, ჩვენს ცხოვრებას როცა ეხება რამე...), რომ გარემოში, რომელშიც მოახერხე დამკვიდრება, რომელიც გიყვარს, რომელიც შენი საკუთარია, რომელშიც შენნაირად გზის გასაკვალად მზადებისთვის სულ მცირე 200 სხვადასხვა ეროვნების ადამიანია თავმოყრილი და როცა სწორედ ამ გარემოდან ხედავ ძალიან დიდი სიყვარულის და დაფასების შედეგს, რომლისთვისაც ისეთი არაფერი გაგიკეთებია, უბრალოდ ასეთი ხარ – ნიჭიერი, მშრომელი, ადამიანური, ძლიერი, ღირსეული, ერთგული, მოსიყვარულე, თბილი, მზრუნველი... და როდესაც სასწავლებელში ჩასულ მშობელს ყველა სიკარგის აღნიშვნასთან ერთად ადმინისტრაციის წარმომადგენელი გეკითხება, თუ როგორ მოახერხეთ ასეთად გაზრდა, შენ უბრალოდ ბედნიერებისგან იღიმები... ვულოცავ ამ სიყვარულს ამ ლამაზი გარემოდან ჩემს ლიზის. სულ რაღაც 20-დან 3 ნომინაციაში რჩეულობაც ამის დასტურია. მიყვარხარ და მეიმედები“.

რევაზ თოფურია

დასავლეთში – ძლიერი ქარი, აღმოსავლეთში – ნისლი

18-20 დეკემბერს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია შედარებით თბილი და უმეტესად უნალექო ამინდი, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში შესაძლოა მცირე ნალექი და ნისლი აღინიშნოს. ზემო იმერეთსა და კოლხეთის დაბლობზე იქროლებს აღმოსავლეთის მიმართულების ძლიერი ქარი. ჰაერის ტემპერატურა დასავლეთ საქართველოს დაბლობში +12+17, აღმოსავლეთ საქართველოს ბარში +4+9 გრადუსის ფარგლებშია მოსალოდნელი.

თბილისში შესაძლოა, მცირე ნალექი და ნისლი აღინიშნოს. ჰაერის ტემპერატურა +7 +9 გრადუსი იქნება.

გაზეთის გამოსაწერად მიმართეთ:

„ელვა სერვისი“
238-26-73; 577 99 16 51
238-26-14; 577 30 88 47

„მაცნე“
214-74-22; 599 982 777

„პლანეტა-ფორტე“
292 18 59; 579 79 99 08

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ რედაქციაშიც:
2-99-02-10;
599 797 679.

„ჯეომედია“
266-51-13;
593 209 526

გაზეთი შეგვიძლია მოგაწოდოთ ელექტრონულადაც, ელ.ფოსტის საშუალებით.

ფილიპინელი პირველია

„მის სამყარო 2018“ ფილიპინების წარმომადგენელი, 24 წლის კატრიონა გრეი გახდა. საერთაშორისო კონკურსში გამარჯვებული კატრიონა გრეი ტელეწამყვანია. ის ავსტრალიაში დაიბადა, თუმცა მოგვიანებით, ფილიპინებზე, მანილაში გადავიდა საცხოვრებლად.

„მის სამყარო 2018“-ის დაჯილდოების ცერემონიალი ტაილანდში გაიმართა. ვიცე „მის სამყარო 2018“ რუსეთის წარმომადგენელი გახდა.

4000-დოლარიანი მარგალიტი კერძში...

ნიუ-იორკში ერთ-ერთი რესტორნის Grand Central Oyster Bar-ის სტუმარმა სადილობის დროს ხამანწკების კერძში დიდი მარგალიტი აღმოაჩინა. ამის შესახებ გაზეთი New York Post-ი წერს.

რიკ ანტოშმა კერძში ბარდის მარცვლისხელა მარგალიტი იპოვა, რომელიც თავიდან საკუთარი კბილი ეგონა. რესტორნის შეფ-მზარეულის სენდი ინგბერის თქმით, მსგავსი აღმოჩენა იშვიათობაა. **„აქ 28 წელია ვმუშაობ. რაც თავი მახსოვს, ეს მეორე აღმოჩენაა, იმის მიუხედავად, რომ ყოველდღიურად ხუთი ათასზე მეტ ხამანწკას ვყიდით“,** – აღნიშნა მან.

სპეციალისტების შეფასებით მარგალიტის ღირებულება 2-დან 4 ათასამდე დოლარს შეადგენს. რიკ ანტოშს ჯერ არ გადაუწყვეტია, დაიტოვოს თუ გაყიდოს ძვირფასი ქვა. მაგრამ ბედს კიდევ ცდის. **„აუცილებლად დავბრუნდები რესტორანში და რამდენიმე მარგალიტის პოვნას ისევ შევეცდები, არასდროს იცი, როდის გაგიმართლებს“,** – განაცხადა მან.

გააპროტესტეს ბეწვეულისა და ტყავის გამოყენება

მოდის ინდუსტრიაში პროდუქციაში ბეწვეულისა და ტყავის გამოყენების საწინააღმდეგოდ, ბარსელონას ერთ-ერთ მთავარ მოედანზე ათობით მოქალაქე გაშიშვლდა. ამის შესახებ The Independent-ი იუწყება.

კატალონიის მოედანზე გამართული ფლეშმობის დროს აქტივისტები სრულიად გაშიშვლდნენ და სხეულები ხელოვნური სისხლით შეიღებეს. ფლეშმობის მონაწილეებმა მომაკვდავი ცხოველები განასახიერეს. ერთ-ერთი გოგონა გამოვიდა ტრანსპარანტით, რომელზეც ჰქონდა შემდეგი წარწერა: **„კიდევ რამდენი სიცოცხლე სჭირდება ერთ ქურქს?“**

საპროტესტო აქციის ორგანიზატორი იყო საერთაშორისო არაკომერციული ორგანიზაცია Anima Naturalis, რომელიც ესპანეთსა და ლათინურ ამერიკაში ცხოველების უფლებებს იცავს.

ორგანიზაცია PETA-ს (ადამიანები ცხოველების მიმართ ეთიკური მოპყრობისათვის) მონაცემებით, **მთელს მსოფლიოში გაყიდული ბეწვეულის 85 პროცენტზე მეტი ფერმერულ მეურნეობებზე მოდის, სადაც მელებს, წაულებსა და სხვა ცხოველებს სვამენ გალიებში, ვიდრე მოკლავენ და ტყავს გააძრობენ. „მოდური არაფერია იმაში, რომ გამოიყენო ნაწამები ცხოველების ტყავი ტანსაცმლისა და აქსესუარებისთვის“,** – განაცხადა PETA-ს წარმომადგენელმა.

ოქროს დათვი – შარლოტა რემპლინგს

ბერლინის 69-ე კინოფესტივალი საპატიო ოქროს დათვს ბრიტანელ კინოსა და თეატრის მსახიობს, ლეგენდარულ შარლოტა რემპლინგს გადასცემს. ინფორმაციას ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალის პრესსამსახური ავრცელებს. 14 თებერვალს, საპატიო ოქროს დათვის გადაცემის ცერემონიალზე, ნაჩვენები იქნება 1974 წელს გადაღებული, იტალიელი რეჟისორის ლილიანა კავანის ფილმი „ღამის პორტიე“ შარლოტა რემპლინგის მონაწილეობით.

„ძალიან ბედნიერი ვარ, რომ წელს ბერლინალეს საპატიო ოქროს დათვი შარლოტა რემპლინგს გადაეცემა. ის შესანიშნავი მსახიობი და კინემატოგრაფიის ეპოქალური სახეა“, – განაცხადა კინოფესტივალის დირექტორმა დიტერ კოსლიკმა.შარლოტა რემპლინგის კარიერა 100-ზე მეტ სატელევიზიო და კინოროლს ითვლის.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. №21

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
299-02-10
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, წაიკითხე, ისიამოვნე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.6678; ევრო - 3.0138;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3590
100 რუბლი - 4.0173; თურქული ლირა - 0.4965;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5732;
1000 სომხური დრამი - 5.5052.

ამინდი 18 დეკემბრისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე 0, დღე +10
მთიანი რაიონები - ღამე -3, დღე +10
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +5, დღე +15
მთიანი რაიონები - ღამე -2, დღე +13
თბილისი: ღამე +4, დღე +8

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 299-02-10,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge